სახალხო გაზეთი

№ 724 სამშაბათი, 16 ოქტომბერი 1912 წ. № 724

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სალამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაპრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მოსნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში--მორსკაია 11, ვარშავაში--მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში--ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; [illegible] მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი. [illegible] პარაკეტი შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ეთვალ-ყური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

კანტორისაგან

1912 წ. პრემია **„ბრდღვლის" მისაღებად** უკანასკნელი ვადა არის მომავალ წლის 1 იანვარი, ამიტომ ვთხოვთ ყველას, ვისაც პრემია ერგება, ამ ვადამდე უსათუოდ მოიკითხონ, რადგანაც 1 იანვრის შემდეგ პრემია აღარ შეენახებათ და ყოველნაირი მიწერ-მოწერაც მიმდინარე წლის პრემიის შესახებ **უეჭველად იქნება დატოვებული.**

სახალხო გაზეთი სურათებიანი დამატებით მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.
ღვინოგისთვიდგან წლის დამლევამდე ღირს **2 მ. და 25 კ.**
თვეში ღირს — — 75 კაპ.

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ).
საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლ. ხელის მომწერთ (რომელთაც პრემია „ბრდღვლი" ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., 1 მარტისათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და 1 მ. 50 კ. 1 ივლისამდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი **აგენტი** არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.

სამშაბათს 16 ოქტომბერს, სოფ. ბაბში (შორაპნის მაზრა) წმ. გიორგის ეკლესიაში გარდახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

ნატალია ექვთიმეს ასულის კურცხალიას

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ **მეუღლე მისი პავლე იოსების ძე კურცხალია.** წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. 725.

ტელეფ. № 795. ქართული თეატრი წარმოდგენა №8.
ხუთშაბათს, 18 ოქტომბერს, 1912 წ.
ქართ. დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგ. იქნება
ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით
პირველად ორიგინალური პიესა ვალ. შალიკაშვილისა
გადაჭრილი მუხა, 4 მოქმედებად.
ამ პიესისასთვის დამზადებულია ახალი დეკორაციები.
მონაწ. ღებულობენ: ქ-ნნი აბაშიძე, გოგოლაშვილი, დავითაშვილი, კარგარეთელი, ლოლუა, ქიქოძე. შათაძე, ჩერქეზიშვილი, ჯავახიშვილი. ბ-ნნი: ალექსი-მესხიშვილი, აბდუშელი, ალექსიძე, ბერიშვილი, გუნია, გამყრელიძე, გედევანოვი, ზარდალაშვილი, მატარაძე, მგალობლიშვილი, ყივიძე, სარაული, ციციშვილი.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე, ადგილების ფასი ჩვეულებრივი.
თეატრის დირექცია დაბეჯითებითა სთხოვს ბ. მაყურებელთ, ფარდის აწევამდე დასხდნენ თავიანთ ადგილზე, რადგანაც ფარდის აწევის შემდეგ დარბაზში აღარავის შეუშვებენ.
ანონსი: კვირას, 21 ოქტ., წარმ. იქნება ცნობილი ისტორიული დრამა ვას. ყიფიანისა „სამეგრელოს მთავარი ლევან".
1541. რეჟისორი **ვლ. ალექსი-მესხიშვილი.** ქართ. დრამ. საზოგ. ადმინ.

ტფილისის ქართული ფილარმონიული საზოგადოების
სამუსიკო სკოლა
გადავიდა ახალ სადგომში, კორგანოვის ქუჩაზე. ალ. გრ. რჩეულიშვილის სახლში № 6.
მოწაფეთა მიღება: ფორტოპიანოსა, სკრიპკისა, ვიოლონჩელისა, კონტრაბასის სიმღერა (solo), ელემენტარული თეორიის, ნოტების კითხვის (solfegio), გარმონიის, ენციკლოპედიისა და გუნდის **კლასებში დაიწყება 27 აგვისტოდან** ყოველ დღე, (კვირა-უქმის გარდა), დილის 10—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე სკოლის კანტორაში. სწავლის ფასი: ფორტოპიანოსი, ვიოლონჩელისა და კონტრაბასის კლასებში 65 მანეთი წელიწადში, სკრიპკისა და სიმღერა (solo), 75 მანეთი თეორეტიულ კლასებში 15 მანეთი წელიწადში სწავლის ფული გადახდილ უნდა იყვეს ნახევარის წლობით.
მასწავლებელთა სია: ფორტეპიანოს კლასში: ქ-ნ მ. ამირეჯიბისა, ნ. კ. ალაშნიკოვისა, ო. მ. ბერგი-პივოვაროვისა, ე. ვ. ფოგელისა და თ. ს. შაბუროვისა; სკრიპკის კლასში მ. ტ. ვასილიევი; ვიოლონჩელის კლასში: ე. ნ. კოპელნიცკი; კონტრაბასის კლ.: მ. ი. შერბოვი; სიმღერა (solo) ე. ბროჯი. თეორიის კლასებში და ნოტების კითხვა ზ. პ. ფალიაშვილი.
ახლად მოწვეულ იქმნენ მასწავლებლებად: პეტერბურგის კონსერვატორი, დამთავრებული პროფ. დუბაროვის კლას. თავისუფალი ხელოსანი ელ. გრ. ქიქოძისა და მოსკოვის კონსერვატორია დასრულებული პროფეს. იგუმანოვის კლასში თავისუფალი ხელოსანი ნ. ივ. ბაბასინოვისა
ხმების გასინჯვა, ქალთა და ვაჟთა, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, არსებულ ქართულ გუნდისთვის მოხდება ყოველ დღე 5—7 საათამდე საღამოთი.
სწავლა დაიწყო 2 სექტემბრიდგან. 1429.

ქართველ ქალთა ამხანაგობის სახელოსნოში
მიიღებენ შესაკერად კაბებს: ქალებისას და ბავშვებისას ხელმისაწვდომ ფასებში. იქვე მიიღებენ ყოველგვარ ხელსაქმეს აბრეშუმით ნაკერს და საცვლებზე ნიშნების (მეტკების) ამოკერვას.
გაბაანთ ქუჩა № 3. 729.

ქ. ი. ზუბალაშვილების სახალხო სახლი
დღეს, 16 ოქტომბერს, 1912 წ., ქართ. სახ. მმართ. წრის მიერ ხელმეორედ წარმ. იქნება ნ. ვ. გოგოლის **„რევიზორი",**
კომ. 5 მოქ. „M'eansceus" მოსკოვის სამხატვრო თეატრის.
მონაწ. მიიღებენ: ქ-ნნი ე. არაბიძე, ანტუანეტა, ათაბეგიშვილი, ს. ბადრიძე, მ. გოგოლაშვილი, გოდერძი, კახელი, **პიერეტა,** ბ. ტანელი, ფეიქრიშვილი, ე. ციმაკურიძე, ბ-ნნი გ. ანაშვილი, ს. არშაკუნი, დ. ბაქრაძე, ნ. გოცირიძე, ილ. ზურაბიშვილი, კავაძე, ი. მინდიაშვილი, ა. მეტრეველი, ვ. ნინიძე. ს. პეპანოვი, ს. რომანიშვილი, გ. სვანელი, რ. სალაყაია, გ. ფრონისპირელი, ნ. ჭანკვეტაძე, გ. ჯაბაური.
ბილეთების ფასი 5—50 კ, **დასაწყისი საღამოს 8 ს.**
1499 რეჟისორი **ალ. წუწუნავა.** „წრ-ს" ადმინისტრაცია.

ტფილისის კერძო სამკურნალო
ძსენიეების ძუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის
სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო
ტელეფონი № 590.
სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით,
განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.
მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგანი ავადმყოფ.	**ღამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ. დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ.
	დავითიანი რ. ს. (ყოველ დღე) 1—2.
	ქიქოძე ტ. ს. (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10.
	მაღალაშვილი გ. გ. (ორშაბ., საშაბ. და შაბათობით) 10—12.
	მანსვეტაშვილი ვ. მ. (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.
	მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.
	ფედოროვი ე. გ. (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
საშოსტატო-ქალთა ავად. (ტრაბალი).	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტატი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½.
	მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.
	ფირადოვი რ. ბ. (ყოველ დღე) 12—1.
საშობიარო ქალ. სნეულები.	**ჭიქმი-ქალი ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.
	მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.
	სულაკოვი ა. ი. (ყოველ დღე) 12—1.
	თიკანაძე ი. ე. (ყოველ დღე) 1—2.
ბავშვების ავადმყოფ.	**ღამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 12½—12 ს.
	მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.
	ფედოროვი ე. გ. (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. ფსიქ. ავად.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11.
	დავითიანი რ. ს. (ყოველ დღე) 1—2.
ყელ. ყურ. ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2.
	ორემბოვსკი ნ. ს. (ყოველ დღე) 2½—3.
თვალის ავ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ.	**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wasserman.** რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კოსულტაციები, შარდის ბუშტისა და მილების კათეტერიზაცია; „606" **წამლის შეშხაპუნება,** ელექტროხით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შეეღწევა და სხვა შეღავათიანი საფასურით. ს. 1010.

ეჭიმ ილია ჭავჭავაძის თხზულებანი
ეჭიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა
წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქადალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა
ლექსი და ბელეტრისტული ნაწარმოები,
(აგრედვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.
ფასი 8 მანეთი, რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.
წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორდანოვის ქუჩა, № 20, **ეჭიმ მიხეილ გედევანიშვილთან;** და **წერა-კითხვის საზ.** წიგნის მაღაზიაში.
ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ფოთოში—იონა შეუნარგიასთან. სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან. სიღნაღში—ეჭ. ჯანდიერთან. სოხუმში—ნიკო თავდგირიძესთან. ჭიათურაში—წ. კ. ბ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან. ბაქრაძესთან და იოსებ ოცხელთან. თელავში—თამარ აბაშიძესთან. ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან. ბაქოში—ილია აგლაძესთან. ოზურგეთში—ეჭ. დიმ. ერისთავთან. ერევანში--ელენე ვირსალაძესთან ბათომში—ს. მდივანთან. კავკავში—სოფიო კალანდარაშვილთან. გორში—ნიკო ლომაურთან. ახალციხეში—როზალია ალელიშვილთან
ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით ბამომცემლის სახელზე გზანის, მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია. 1153

1553

ვაგზლის კერძო სამკურნალო
გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.
ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს.
ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ. კანისა და ვენერ. 11—11½ ს.
ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ და ცხვ. სნეულ. 11—11½.
შ. ა. მიქელაძე. შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.
ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.
ივ. გომართელი.—ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს. მიკროსკოპიული, ბაქტეოროლოგიური-ქიმიური გამოკვლევანი; აგრედვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებეთ.
წამლოგა „606"-ი. 1018

დოქტორი მედიცინისა ბერლ. უნივერს.
გ. გ. მეგრაბიანცი
შინაგ. ავადმყ., ავადმყოფობ. ფილტვ.—ტუბერკულ. და გულისა. წამლობს ტუბერკულინით, რადიისა და ელექტრონის პრეპარატებით. იღებს ყ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—12 ს. და საღამ. 5—7 საათ. ადრესი: **სოლოლაკი,** ბებუთოვის ქ., № 23 (განოვის ქ. კუთხე). **ტელეფ. 7—92.** 724

ეჭიმი ს. ი. ბაქელიშვილი
შიგნეულობისა და ვენერიულ ავადმყ. დილ. 9—11 საათ., საღ. 6—8 საათ. დიდუბე, საგურამოს ქ., (მუშტაიდის ბაღის შუაგულიდგან მარჯვნივ), № 21, ხრამელაშვილის სახლი. დღისით: 2—4 საათამდე. ბაროონისა და ბაზრის ქუჩის კუთხე, № 14. 1411

ეჭიმი ალ. სოლოლაშვილი
იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 5—4 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334.

საგურთალოზე
მშვენიერ ალაგას,
ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის ახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაკრებად ხელმისაწვდომელ ფასებში.
მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათ ან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანანამად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1020

სამკურნალო
სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დი. ქ.-ზე, № 3, ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 483.
ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.
ასპიროვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.
ბერგუთინსკი, შინაგ., ბავშ. ყ.-დღ. 10 ს. 11½ ს.
ახვლედიანი შინაგან ხნეულ. საბავშ. სამშაბათ. ხუთშაბათ. შაბათ. საღამოს 4—5 საათ.
ბოგოვსკი. შინაგ. საბავშ. ორშაბ. ოთხშაბ. პარასკევ. საღამ. 4—5 ს.
მონსე. ბავშ. და შინაგ. ავად ორშ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 საათ.
ნოვიცკი. ქალთა ავად., ყ.-დ. 1—2 ს,
კალამკაროვი. ქალ. ავად. ყ.-დღ. 12—1 საათ.
უკლადნიკოვი. შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. 4—5 საათ.
ოეთრაძე. სიფ., ვენერ., კან. ყ.-დ. 1—3 ს.
ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტროთერაპია, ყ.-დღე გარდა კ.-უქმისა 11½—12½
რუდენკო. შინაგ. ავად. კონსულტანტი ხუთშ., კვ. 3—4 ს.
ვესელოვზოროვი ქირურგ. ავად. ყოველ დღე, გარდა კვირ. დღ., 3—4 საათ.
ერმოლაევი -ბავშ., შინაგან. ყ.-დღ. 1-2 ს.
იოსელიანისა ქალ. ავად., ორშ. ოთხშ., პარასკ., კვირ. 11—12 საათ.
ბესსერი შინაგ., ნევრ.-ავადმ. — სამშ., ხუთშ., შაბ. კვ. 2—3 ს.
ბაგდოევისა, კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.
ლიმონი. კბილ. ყ.-დღ. 11—12 ს.
შამაში, ქირურგ. ავადმყ ყ დღ., კვ გარდა 1½ 2½ ს.
კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606"-ს
საღამოს 5—7 საათამდე.
კონსულტანტი ხირურგ. ავადმყ. დამსახურ. პროფეს. სამპერ. სამხ. მედიკ. ავად. პროფ. მ. ს. სუბოტინი ორშ., ხუთშ. 3—4 საათ., წადაწინვე ჩაწერით. 366.

ეჭიმი კბილისა ნინო რცხილაძე
იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

ეჭიმი ჰ. არდაზიანი
შინაგან და ბავშვებ. ავადმყ (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმი-ქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. 11—2 ს. საღამ. 5—7. 1045.

ეჭიმი ივ. გომართელი
დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების მიღება.
ვერაზე, ოლგას ქუჩა № 20. დილის 8—11 ს.-მდე, საღ. 5—7 საათ. 701.

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო
მიხ. გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორდანოვის ქ. № 20. წ. 1022

ეჭიმი ი. ი. ბერიშვილი
სწავლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ. ქ.,** № 94, საფოსტო განყოფი. პირდაპირ. 1530

ეჭიმი ქალი დ. ბ. საყვარელიძე.
იღებს ავადმყოფებს ქალისა და საბებიო. ნაშუადღ. 1—2 ს., საღამოს 5 6 საათამდე.
კიროჩნის ქუჩა, № 9. 595.

ეჭიმი ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3, ს. გაბაშვილისა.

ეჭიმი კბილისა და ღრძილებისა ჰ. ა. ძაჯაია
იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151. დიდუბე 1040

რატომ არის საჭირო პიტაგაშვილის გამარჯვება?

ჩვენი იდეიური მოპირდაპირენი იმ თავითვე ავრცელებდნენ და ანვითარებდნენ იმ დებულებას, ვითომც ქართული ეროვნული მიმართულება კლასიურ-ბურჟუაზული ხასიათისაა და ამიტომ ვითომც არც ხალხის სოციალურ ინტერესებს ეგუება იგი, არც სხვა ერთა შორის სოლიდარულ ურთიერთობის ხელშეწყობი ძალა იყოს. ბევრი რამ ითქვა ამ ორ საკითხის შესახებ ჩვენს პრესაში. მაგრამ რაც გინდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს ბეჭდვითი სიტყვას, თავის არგუმენტაციის ძლიერებით იგი ჩამოუვარდება პრაქტიკულ მოქმედების ხასიათს, როდესაც აღარავითარი ეჭვი არა რჩება ადამიანს იმის შესახებ, თუ საითკენ იხრება ამა თუ იმ მიმართულების აზრი და მისწრაფება.

სწორედ ამიტომ უაღრესი მნიშვნელობა ეძლევა, დღევანდელ ისტორიულ პირობებში, რუსეთის საპარლამენტო ტრიბუნაზე იმ პოლიტიკურ მოდვაწის გამოსვლას, რომელიც აღჭურვილია ქართულ ეროვნულ-პოლიტიკურ თვალსაზრისით. იგი დაანახვებს ქვეყანას, მოქმედებით და სხვა და სხვა პოლიტიკურ ჯგუფთა ფიზიონომიის აწონ-დაწონვით, რომ ქართული ეროვნული აზროვნება არსებითად და გადაჭრით დემოკრატიულია და, როგორც ამგვარი, ყოველთვის და ყველგან მშრომელ

ხალხის და დაჩაგრულ ერთა ინტერესების გულწრფელი და მედგარი მცველია.

ქართულ ეროვნულ-პოლიტიკურ აზროვნებას არც შეიძლება სხვა კრიტერიუმი და მიმართულება ჰქონდეს. ეროვნული კულტურა უძლურია თუ **სოციალური აგებულება** ერისა უვარგისია, თუ იგი დაფუძნებულია შრომის ექსპლოატაციაზე და მიწისა და ქარხნის მუშაკთა დაბეჩავებაზე. ხალხის სოციალური კეთილდღეობა, შრომის განთავისუფლება ყოველგვარ ძალმომრეობისაგან, ეკონომიურ წინაალმდეგობის შესუსტება შრომის პრინციპის გამარჯვებით—აი ის ტინი და ნიადაგი, რომელზედაც შენდება ეროვნულ კულტურის შენობა.

მეორეს მხრით, უცილობელი ჭეშმარიტება არ არის განა, რომ ერთა შორის სოლიდარობის გაძლიერება ერთად-ერთი ძირითადი პირობაა იმავ კულტურის გაფურჩქვნა-გაშლისათვის? ქართულ პოლიტიკურ აზროვნების წინაშე მუდამ ჟამს უნდა იდგეს პრობლემა ერთა სოლიდარობისა. საქართველო, რუსეთის შემადგენელი ნაწილი, ამავე დროს ნაწილია სხვა და სხვა ერებით დასახლებულ კავკასიისა. უაღრესი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის ერთა სოლიდარობის პრინციპს. და თუ ჩვენმა პოლიტიკურმა აზროვნებამ იმდენი ძალა და ღონე გამოიჩინა, რომ ხელი შეუწყო ეროვნულ პრობლემის გაშუქებას იმ მხრით და იმ სახით, რომ თანდათან გამოირკვეს და გავრცელდეს რუსეთში მცნება „ეროვნებათა სახელმწიფოსი“ წინაალმდეგ ეხლა გამეფებულ „ეროვნულ სახელმწიფოს“ მცნებისა. და თუ ამავე დროს ისიც მოვახერხეთ, რომ აქ შინაურობაში, საქართველოს და თვით მთელი კავკასიის საზღვრებში, ერთა სოლიდარობის საგანი მყვირალა სიტყვების რახა-რუხზე კი არ დავამყარეთ, არამედ თვითოეულ ერის შეგნებულად გაგებულ და განმარტებულ ინტერესებზე—ჩვენი სამსახური ამ სოლიდარობის წინაშე დიდი და დაუფასებელი იქნება.

ჩვენ არ გვესმის, თვით მართველობის პრინციპი, რომელსაც ემყარება ქართული პოლიტიკური აზროვნება, რატომ უნდა მავნებელი იყოს და ეწინააღმდეგებოდეს არამც თუ სომხის ერის, არამედ თვით სომხის ბურჟუაზიის ინტერესებსაც. თუ სომხის ერი და ბურჟუაზია იმავ სოლიდარობის პრინციპს თანაურგძნობენ, ჩვენ არ ვხედავთ **არცერთს რაციონალურს** მოსაზრებას, რომლის ძალითაც სომხები იძულებულნი ყოფილიყვნენ ქართულ ეროვნულ იდეალებს ბრძოლა და ომი გამოუცხადონ. ჩვენა ვსთქვით, **თუ სომხის ერი და ბურჟუაზია იმავ სოლიდარობის პრინციპს თანაუგრძნობენ.** და ამ სიტყვებს ხაზს უსვამთ, რადგან სწორედ აქ გვებადება ეჭვები და სომხები მოვალენი არიან გაჰფანტონ ამგვარი ეჭვები, რადგან სოლადარობა ციდამ არ ჩამოგვივარდება, მის დამყარებისათვის საჭიროა განსაკუთრებული პირობები. თუ ამ პირობებს არ შეჰქმნით, თუ მოცილე ერთა ცხოვრებას არ ჩააყენებთ განსაზღვრულ იურიდიულ ნორმების ფარგლებში, ნანატრი სოლიდარობა უაზრო და თვალთმაქცი გახდება.

აი სწორედ ამ მოსაზრებათა ძალით ფრიად საჭიროა, რომ ქართულ პოლიტიკურ აზროვნებას თავის გამომსახველი ჰყავდეს რუსეთის პარლამენტში. ქართველი დემოკრატია ნათლად დაინახავს მაშინ, რომ მისი სვე-ბედი და მისი ჭირ-ვარამი ქართულ პოლიტიკურ აზროვნების მთავარი საზრუნავი საგანია. ჩვენი მეზობლები დარწმუნდებიან, რომ „მებრძოლ ნაციონალიზმთან“ საერთო არა გვაქვს რა და ყოველი სამართლიანი და რაციონალური მოთხოვნა სომხებისა, მხურვალე მოსარჩლეობას ჰნახავს ქართულ პოლიტიკურ აზროვნების მცველთა ბანაკში. რაც შეეხება რუსეთს, მის მოწინავე ელემენტებს, მათვის აშკარა გახდება, რომ ჩვენ მიერ ნაკარნახი გზა—ეროვნებათა სახელმწიფოს მცნების გამტკიცების საჭიროება, არის ერთად-ერთი გზა მშვიდობიანობის და ჰარმონიულ თანამშრომლობის დამყარებისათვის რუსეთის შემადგენელ ნაწილებისა.

იმედი გვაქვს, რომ ქუთათური ამომრჩევლები ღრმად ჩაუკვირდებიან გარემოებას, შეგნებულად მივლენ საარჩევნო ყუთებთან და 17 ოქტომბერს კიტა აბაშიძეს მიანიჭებენ გამარჯვებას. ეს იქნება გამარჯვება არა პიროვნებისა, არამედ მიმართულებისა და პოზიციისა, რომელიც განვმარტეთ ამ წერილში. **არჩილ ჯორჯაძე.**

ქართული პრესა

დიდის წარმოდგენისა „თემზე“ ჩვენ არასოდეს არა ვყოფილვართ. გაზეთი, რომელიც ისეთს საყურადღებო მომენტში, რანაირიც წრევანდელი არჩევნებია, თავის გადაწყვეტილ სიტყვას ვერ იტყვის, გაზეთი, რომლის აზროვნება კერძო პირთა თუ მწერალთა დახასიათების საზღვარს ვერ გასცილებია, გაზეთი, რომელსაც საზოგადოებრივი ძალთა განწყობილება, მიმდინარეობათა შებრძოლება კერძო პირთა საქმედ მიაჩნია, — ასეთი გაზეთი მხოლოდ წყალს აამღვრევს და ცხოვრებაში კი ვერავითარ კვალს ვერ დასტოვებს.

საზოგადოებრივ მოვლენათა დასაფასებლად საჭიროა ერთგვარი კრიტერიუმი, რომელიც „თემს“ არასოდეს არა ჰქონია და შემდეგშიაც, სანამ იგი დღევანდელ რედაქტორის ხელშია, არ ექნება. „თემი“ იმდენად დაბნეულია, რომ ვეღარ გამორკვეულა, საით წავიდეს, რომელ ღმერთს ემსახუროს. ჩვენ გვეფიცება, თქვენთან უფრო ახლო ვარო, მაგრამ გამოდის კი, რომ სხვებთან უფრო ახლოა. დეკენტრალიზმი მოსწონს, მაგრამ... მაინც გეგეკორის ცენტრალიზმი სჯობიან.

ერთის სიტყვით, ისეთი დომხალია, რომ ადამიანს შეუძლიან კისერი მოიტეხოს. „თემს“ რომ რაიმე გარკვეული კრიტერიუმი ჰქონოდა, ასეთს რამესაც არ იტყოდა.

„აი რა სამსახური გაუწიეს ჩ4ენს საყურადღებო და სათაყვანებელ ეროვნულ საქმეს ბ. არჩილ ჯორჯაძემ და მისმა ახლანდელმა მიმყოლებმა. რა გასაკვირველია, რომ სომხებმა მიმართულების განურჩევლად მხარი დაუჭირონ ისეთს ჯგუფს, რომელიც ტკბილ სოლიდარულ ცხოვრებას ჰპირდება ყველა ერებს კავკასიაში მომავალში და აწმყოშიაც!.. ერთა სოლიდარობის პოზიცია დიდებული პოზიციაა ყოველი პოლიტიკური ჯგუფისთვის და ვინც მას ჰღალატობს, იგი სასტიკად დაისჯება“.

„თემი“-ს სიტყვით გამოდის, ჩვენ რომ სომხის ნაციონალისტურ პარტიისა და ბურჟუაზიის და სოციალ-დემოკრატების ბლოკი რომ არ აღგვენიშნა და სათანადოდ არ დაგვეფასებინა, სომხები, „განურჩევლად მიმართულებისა“, ისეთს კაცს აირჩევდნენ, რომელიც საქართველოს განსაკუთრებულ ეროვნულ ინტერესებზე ილაპარაკებდა. მართლა „აპოლიტიკოსი“ უნდა იყოს ადამიანი, რომ ასეთი რამა სთქვას. ერთა სოლიდარობა კარგი რამეაო, ბრძანებს „თემი“. სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ როგორ გესმით ეს სოლიდარობა? ცარიელი სიტყვა ხომ თავის თავად არასფერს გამოჰხატავს? რა შინაარსით ავსებთ ამ სიტყვას, რაში უნდა გამოიხატოს ეს სოლიდარობა? აი, სოციალ-დემოკრატებს სოლიდარობად მიაჩნიათ დღევანდელი განწყობილება. სომხის ნაციონალისტებიც, როგორც არა ერთხელ თქმულა, წინააღმდეგნი არიან საქართველოს განსაკუთრებულ ინტერესებისა. თავისი აზრი მათ ამ საგნის შესახებ მრავალჯერ გამოუთქვამთ საჯაროდ. მათის აზრით ყველა, ვინც წინააღმდეგ პოზიციაზე სდგას, ე. ი. ვისაც საქართველოს ეროვნული იდეალი სწამს, შოვინისტია და ერთა სოლიდარობის განმტკიცებას ხელს უშლის. თქვენა, „თემის“-ს ბრძენო პუბლიცისტებო? თქვენ როგორ-ღა ჰფიქრობთ? საქართველოს ეროვნულ იდეალის წინ წამოყენება შოვინიზმია? იმედია ამ შეკითხვაზედაც გარკვეულს პასუხს ვერ მივიღებთ.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

„თემი“ მარტო არ დარჩა. მას გამოექომაგა „ტიფლისკი ჟურნალი“, რომლის არსებობა ბევრმა ჩვენმა მკითხველმა არც კი იცის. ასეთი ჟურნალი კი არსებობს. იგი „ჭეშმარიტ ქართველთა“ ორგანოდ ნათლავს ჩვენს გაზეთს და სხვათა შორის სწერს:

„ისღა დაგვრჩენია აღვნიშნოთ, რომ სწორედ „სოლოლაკელთა“ სია არ გავიდა: „სოლოლაკელები“ სწორედ თავის სახლში, სოლოლაკში, დამარცხდნენ. თუმცა, ქართველთა „ჭეშმარიტი პატრიოტები“ რომ ფაქტებსა და სინამდვილეს ანგარიშს უწევდნენ, სრულიად სხვანაირ დასკვნამდე მივიდოდნენ.“

მაგალითად? რა დასკვნამდე შეგვიძლიან მიგვიყვანოს იმ გარემოებამ, რომ სომხის ბურჟუაზიის ციტადელი, ტფილისი, სოციალ-დემოკრატებს ირჩევს? რანაირის მოსაზრებით გინდათ გაამართლოთ ის გარემოება, რომ ქალაქის მოურავის ხატისოვის სიმპატიები ჩხეიძესკენ იხრება? ამ სიმპატიას სხვანაირად ვერ ახსნით, თუ არა იმით, რომ სომხის ბურჟუაზიისთვის, სწორედ ვიწრო შოვინისტურ მოსაზრებათა გამო, სასარგებლოა საქართველოს ინტერესების უარისმყოფელ დეპუტატის გაგზავნა სათათბიროში. თუ ეს ასე არ არის, არჩევნები დაგვანახვებს. ვნახოთ, ვის მისცემენ ხმას „უპარტიო“ სომხები, რომელთა შორის ხატისოვიც არის, და როგორ დაგვიმტკიცებენ **საჯაროდ**, რომ ჩვენ მართალს არ ვამბობთ. ყველაფერს არჩევნები გამოარკვევს. რაიცა შეეხება ჩვენს „ჭეშმარიტ“ ქართველობას, თუ ბრჭყალებში ამ სიტყვას იმიტომა ჰსვამთ, რომ გინდათ „ჭეშმარიტ რუსებს“ დაგვადაროთ, მოგახსენებთ, რომ ამნაირის საშუალებით „თემი“-ს პუბლიცისტებს თუ დააფთხობთ, თორემ ქართველმა საზოგადოებამ ძალიან კარგად იცის, რომ ჩვენი იდეალი არც პურიშკევიჩის იდეალია და არც „ჭეშმარიტ რუსებისა“. ნურც ის გაუკვირდება ვისმეს, თუ სომხის საზოგადოების შოვინისტურ ნაწილს საყვედურები შეუთვალეთ. ეროვნულ პრინციპის გასამარჯვებლად ჩვენ რამდენი ხანია ვებრძვით ჩვენსავე სოციალ-დემოკრატებს, ვებრძვით თავად-აზნაურ ფსიხოლოგიას, რომელიც წინააღმდეგობას უწევს ამ პრინციპს. შევებრძოლებით იმ სომხებსაც, რომელნიც ჩვენს ეროვნულ მისწრაფებას წინ გადაეღობებიან. თუ არ ვერიდებით ჩვენებს, რად უნდა მოვერიდოთ სომხის შოვინისტებს? ნუ თუ მარტო იმიტომ, რომ ისინი სომხები არიან? ეს საბუთი არ არის. ჩვენ ვებრძვით სომხის ნაციონალისტებს იმდენად, რამდენადაც ეროვნულ პრინციპის გამარჯვებას წინ ეღობებიან. დარწმუნებული ბრძანდებოდნენ, რომ ვერავითარი ფრაზეოლოგია ჩვენ ვერ შეგვაშინებს და, რასაც ჩვენებურ სოციალ-დემოკრატებსა და თავად-აზნაურობას ვუწუნებთ, სომხებსაც დავუწუნებთ.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **საზოგადო კლუბი.** შაბათს, 20 ოქტომბერს, ტ. კ. მარქარიანი წაიკითხავს რეფერატს შემდეგს თემაზე: „ფსიხოლოგიისა და პედაგოგიის საფუძველნი“.

✦ **არჩევნების გარშემო.** კვირას, 14 ოქტომბერს, რუსთა კურიის არჩევნები ხელმეორედ დაინიშნა. გუშინ ხმები დათვალეს, პროგრესისტების კანდიდატებს ამოუვიდათ 1120 ხმა, ნაციონალისტებისას 423, პატრიოტებისას — 303, კაზარინოვისას 69. 29 ხმა გამოურკვევლებისა იყო, ხოლო 22 ხმა, როგორც უკანონო, სათვალავში არ ჩაუგდიათ, ამ რიგად გამარჯვება ხელმეორედ პროგრესისტებსა ხვდათ.

✦ **ადმინისტრატიულის წესით გადასახლებულის შეპყრობა.** 14 ოქტომბერს, ნაშუადღევის 2 საათზე, შუა ბაზარში პოლიციელმა შეიპყრო უცნობი კაცი, რომელიც პოლიციაში წაიყვანეს. უცნობმა წარუდგინა პასპორტი თელავის მაზრის სოფელ კურდღელაურის მცხოვრებ მიხეილ პეტრეს ძე შაქარაშვილის სახელზე. პოლიციის ცნობით, უცნობი შაქარაშვილი კი არ არის, არამედ შორაპნის მაზრის მცხოვრები ზაქარია დავითის ძე გურული, 34 წლისაა, რომელიც ადმინისტრატიულის წესით იყო გადასახლებული და ტფილისში თავის ნებით დაბრუნდა.

✦ **ექსკურსიები.** 21 ოქტომბერს ტფილისში ჩამოვიდა ბათომის საქალებო გიმნაზიის მერვე კლასის მოსწავლეთა ექსკურსია.

— 19 ოქტობერს ტფ. ვაჟთა 4 და 5 გიმნაზიებისა და სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლენი, რიცხვით 130 კაცი, მცხეთის დასათვალიერებლად იყვნენ. მოსწავლენი ტფილისში იმავე დღეს საღამოთი დაბრუნდნენ.

✦ საგანგებო კომისია, რომელშიაც შედიან კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს წევრები ვ. ი. რცხილაძე, ა. ი. ტოგუშანი, ი. ო. იოსელიანი, ი. შ. ფირუმოვი და ტფილ. საბაღოსნო სკოლის გამგე ა. გ. მელია, შეუდგა საბაღოსნო სკოლის რეორგანიზაციის გეგმის შემუშავებას.

✦ კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწე სენატორი **ე. ა. ვატაცი,** კვირას, 14 სექტემბერს ტფილიისს დაბრუნდა.

✦ 15 ოქტომბერს დაიწყო მოქმედება ტფილისის ქალაქის სამხედრო ბეგრის საქმეთა საკრებულომ. შემადგენლობა ასეთია: თავმჯდომარე—ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი, საკრებულოს წევრები: სამხედრო უწყებიდან—სამაზრო უფროსი ბ. ჟღენტი, პოლიციისაგან, მეცხრე უბნის ბოქაულის თანაშემწე ზინევიჩი, ქალაქის საბჭოსაგან—ხმოსანი ვ. გ. თამამშევი და მ. ზ. ქანანოვი; ექიმები: სამხედრო ბ. შპაკოვსკი და ქალაქის—ბ. ზინკევიჩი.

✦ საგანგებო კომისიამ ტფ. ვიცე-გუბერნატორის თავჯდომარეობით დაადგინა, დაუბრუნოს ქალაქის თვითმართველობას 2,853 მან. 22 კ., რომელიც ქალაქმა გაიღო იმ სათადარიგო ჯარის კაცთა ოჯახობათა დასახმარებლად, რომელნიც რუსეთ-იაპონიის ომში იყვნენ გაწვეულნი.

✦ **ახალი პიესები.** ნამესტნიკმა ნება დართო, კავკასიის სცენებზე წარმოადგინონ ნინო ნაკაშიძის 4 მოქმედებიანი დრამა „ვინ არი დამნაშავე“ და გ. ნუცუბიძის ვოდევილი „მოტყუებული ბაღდასარი“.

საზოგადოებანი და კრებები

✦ **ბუნების მეტყველთა და ექიმთა მე-XIII კრების** მომწვეევმა კომიტეტმა 4,500 საზოგადოებასა და კერძო პირს დაუგზავნა ბარათები რომლითაც სთხოვს, მომავალ კრებაში მონაწილეობა მიიღონ.

✦ ხვალ, 17 ოქტომბერს, მოხდება საზოგადო წლიური კრება, რუსეთის საგეოგრაფიო საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრებისა.

✦ ხვალ, 17 ოქტომბერს, მოხდება შეერთებული კრება ქალაქის გამგეობისა და საუნივერსიტეტო კომისიისა, რომელმაც სისრულეში უნდა მოიყვანოს უმთავრეს კომიტეტის დადგენილება ტფილისში პოლიტეხნიკუმის დაარსების შესახებ.

✦ ხუთშაბათს, 18 ოქტომბერს მანთაშევის სახელობის სავაჭრო სკოლაში (ბებუთოვის ქუჩა, სახლი № 50) ტფ. სავაჭრო ბანკის დამფუძნებელთა საორგანიზაციო კრება მოხდება.

სასამართლო

✦ **ტფ. ოლქის სასამართლოს სესია** სიღნაღს გაემგზავრა, სადაც 20 ოქტომბრამდე დაჰყოფს.

სასწავლებლებში.

✦ **ჩერქეზიშვილის სახელობის სასწავლებლის** პროექტი და ხარჯთაღრიცხვა ქალაქის სასკოლო კომისიამ მოიწონა. სასწავლებლის შენობის საძირკველს ოქტომბრის ბოლო რიცხვებში ჩაჰყრიან.

სომეხთა ცხოვრება

✦ სომხურ ანბანის 1500 წლის თავის შესრულების დღესასწაულზე დასასწრებად ეჩმიაძინში მიდის ტფილისის სომხებისაგან დეპუტაცია, რომელშიაც შედიან: მღვდელი გრ. მანდაკუნი, ქ-ნი ს. დანიელ ბეკიანი, ბ. ბ. მელიქ-აზარიანი, გ. მელიქ-კარაკოზიანი, მინას სულხანოვი და მდაბიო მოქალაქე მამასახლისი ვ. არაქელიანი.

✦ **სომეხთა ანბანისა და სტამბის იუბილე.** კვირას, 14 ოქტომბერს, ვანქის ტაძარში, გადახდილ იქმნა დღესასწაული სომეხთა ანბანის 1500 წლისა და სტამბის 400 წლის არსებობის შესრულების გამო. ტაძარში, სადაც დიდძალი ხალხი იყო მოსული, გადახდილ ქმნა წირვის შემდეგ პანაშვიდი ბეჭდვითი საქმის მოღვაწეთა სულის მოსახსენებლად.

ქუთაისი

✦ სათათბიროს დეპუტატის ამომრჩეველ რწმუნებულების არჩევნები დანიშნულია ოქტომბრის ჩვიდმეტი-სათვის.

✦ **დრამატიულ საზოგადოებას გადაუწყვეტია,** მოწაფე ქალებს ორკესტრში დაეთმოთ ადგილები ორ აბაზად, ხოლო ვაჟებს—ათ შაურად. ასეთი ბილეთები წარმოდგენის დაწყებისათანავე საღ. 8 საათზე გაიყიდება.

✦ იბეჭდება და მალე გამოვა წიგნად ლადო ბზვანელის შევსებული წერილები **„აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“,** რომლებიც მოთავსებული იყო ამა წლის „სახალხო გაზ.“ ნომრებში. გამოცემა იქნება იაფ-ფასიანი, სახალხო; წიგნი—200 გვერდამდის—ეღირება ერთი აბაზი. შემოსავლის 10% გადაიდება ზეპირსიტყვაობის შესაკრებ ფონდისათვის.

ბ ო ლ ი

✦ ეს ორი კვირაა გორში **სიცივეები დაიჭირა** და აწვიმდა კიდეც. ზოგი ქუჩები ისეა ატალახებული, რომ სიარული ძნელია.

✦ **გორის საოსტატო სემინარიისათვის** შენობის ამგები კომისიას თავ. ნ. ა. თუმანიშვილმა კიდევ შესწირა 300 მ., რომელიც მიემატება შენობისთვის ადგილის შესაძენ თანხას.

✦ პარასკევს, 12 ღვინობისთვეს გორში **პოლიციამ შეიპყრო** ვიღაც უცნობი, რომელზედაც ეჭვი ჰქონდათ, რომ ადმინისტრატიულად იყო გაგზავნილი, და პოლიციის სამმართველოში წაიყვანეს ვინაობის გამოსარკვევად. უცნობი პოლიციიდან გაიპარა.

✦ 12 ღვინობისთვეს ვიღაც უცნობმა მტკვარში **თავი დაიხრჩო** გვამი ვერ უპოვნიათ. („ქართლი“).

დუშეთი.

✦ 9 ოქტომბერს სახალხო სკოლების ინსპექტორი დუშეთში იყო. ქალაქმა სამინისტრო უწყებას გადასცა ორ-კლასიან სკოლის შენობა და ცარიელი ადგილი 150 ოთხკუთხი საჟენი და ყოველწლიურად 400 მანათით დახმარება აღუთქვეს. ინსპექტორი დაჰპირდა ოთხკლასიან სასწავლებლისათვის შენობის აგებას ხაზინის ხარჯით. ეს შვიდი-რვა წელიწადია, რაც ლადო ყარანგოზიშვილის თაოსნობით სცდილობდნენ ამ საქმის მოგვარებას. შემდეგ ეს საქმე ქალაქის თავმა ბ-ნმა ალავერდოვმა მოათავა.

ჭიათურა.

✦ **ჭიათურის საქალაქო სასწავლებელი** ამ ჟამად მასწავლებლების კრიზის განიცდის, აირჩიეს წინად ორი მასწავლებელი სულაძე და სულამანიძე—დირექციამ არ დაამტკიცა; აირჩიეს ბოლოს მასწ. ა. ლიბანელი, ის ოლქის მზრუნველმა არ დაამტკიცა. ამის გამო სამოქალაქო სასწ. პარალელურ განყოფილებაში, რომელიც საჩხერეში უნდა გახსნილიყო, ჯერ სწავლა არ დაწყებულა და მოსწავლეებიც უსაქმოდ დადიან, სასწავლებლისთვის დაქირავებულ სახლში, ხელშეკრულების ძალით, უბრალოდ ქირას იხდიან მცხოვრებნი. სამოქალაქო სასწავლებელს არა ჰყავს ინსპექტორი; არჩეულია და წარდგენილი უმაღლესს კურს დამთავრებული—ბ-ნი მუჯირი, მაგრამ მის დამტკიცების შესახებაც ჯერ არა ისმის რა.

ფ ო თ ი

✦ წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების განყოფილება ამ მოკლე ხანში გამართავს სალიტერატურო საღამოს იაკობ გოგებაშვილისა და ალ. ხახანაშვილის ხსოვნის აღსანიშნავად.—იგივე განყოფილება აპირებს სოფ. ნაბადაში ფოთიდან სამი ვერსის მანძილზეა, ქართული სკოლის გახსნას, კარგი იქნება განყოფილება ს. ჭალადიდშიაც გახსნიდეს მგოსნის ჭალადიდელის სახელობაზე ქართულ სკოლას.

ხ ო ნ ი

✦ ალისუბანის ორ-კლასიანი სასწავლებელი იმერეთის საეპარქიო საბჭომ **ონში გადმოიტანა.** ამ ახალ სასწავლებელს მისცა ყველა ის ნივთები, რომელიც დარჩა ამაღლების ამწაირივე სასწავლებლის გაუქმების შემდეგ. ონის ახალ სასწავლებელში ჯერ სწავლა არ დაწყებულა.

✦ იმერეთის ეპარქიის მეთვალყურე, რომელიც ბინადრობდა ტფილისში ქუთაიში ბინავდება.

ქიზიყი

✦ **სოფ. საქობო.** 7 ოქტომბერს, საქობოს სკოლის შენობა აკურთხეს. კურთხევას დაესწრნენ, ქიზიყის ახალი მომრიგებელი შუამავალი ვახტანგ დიმიტრის ძე ნაცვლიშვილი, კ. ი. ტყავაძე და მრავალი ხალხი.

ამის შემდეგ, მამასახლისის სანდრო ყარალაშვილის სახლში, გარდა ზემო დასახელებულ პირთა, სადილზე იყვნენ მიპატიჟებულნი, სოფლის მასწავლებელი ქალები, სამღვდელოება და რამდენიმე გარეშე პირი.

✦ **ისევ კაცის კვლა.** 9 ოქტომბერს, სოფ. გურჯაანში ძმათა აჯიმამუდოვების არყის ქარხანასთან მისულა ორი უცნობი კაცი. უთხოვნიათ ერთ ძმა აჯიმამუდოვისთვის—ერთი ჭიქა არაყი დაგვალევინეო. როდესაც აჯიმამუდოვი დაკუზულა არყის ასავსებათ, უცნობთ რამდენიმეჯერ დაუხლიათ მაუზერის რევოლვერი და იქვე მოუკლავთ. თვითონ გაქცეულან და შემდეგი ბარათი დატოვებიათ; არავის დაბრალოთ, მე, გუგალამ მოვკალიო. იმავე დღეს მაზრის უფროსი ძალლებით წავიდა გურჯაანში და გამოძიება მოახდინა, მაგრამ ვერავითარ კვალს ვერ მიაგნო. ხალხი [illegible] ეჭვობენ, რომ ან ქართლელ შინებული, რომ ან ქართლელ შინისაგან ვერაფერი [illegible] ამ. ნიანთ და ვერაფერს ვერ ამბობენ. ამ აჯიმამუდოვს თურმე წინად ფულს სთხოვდნენ შანტაჟისტები.

✦ ამავე საღამოს. **ს. მუკუზანში,** წისქვილის გვერდზე დუქანთან მდგარან სოფლის ხარჯ-ამკრეფი გზირი და ორი ყარაული. ერთს მათგანს შეუნიშნავს ვიღაც უცნობი, მისულა მასთან და ვინაობა უკითხავს—წისქვილში საფქვავი მოვიტანეო—უპასუხნია უცნობს. გზირს „პასპორტი“ მოუთხოვნია, უცნობს უთქვამს—ეხლავე უბიდან ამოვიღებო და თანაც დაუძახია „გუდა (თუ გუგალ?) გამოდიო: უბიდან პასპორტის მაგიერ რევოლვერი ამოუღია და იქვე მოუკლავს თოფ გამოწვდილი გზირი—სხვა ორი ამხანაგიც მიჰმატებია და დანარჩენი ორი სოფლელიც მოუკლავთ, მხოლოდ ხარჯის-ამკრეფს გაუსწრია. ჯერ-ჯერობით ვერც ამ მკვლელებისთვის მიუგვნიათ.

✦ 8 ოქტომბერს **ნუკრიანში** (სიღნაღში) გაუტეხეს ქვრივ ეკატერინე დონჯაშვილს სახლი და რაც კი ებადა ყოველისფერი წაიღეს.

✦ ამას წინად უგზო-უკვლოდ დაკარგულ, ს. საქობოს მცხოვრები **იოსებ ფხოველაშვილის** გვამი 9 ოქტომბერს, თავ-მოჭრილი, წყალში იპოვეს.

✦ 7 ოქტომბერს, სოფელ **ბოდბის-ხევში,** შ. საფაროვის მონაწილეობით, დანიშნული იყო ქართული წარმოდგენა, რომელიც ავდრის გამო გადაიდო.

✦ 9 ოქტომბერს, ღამე **ძველ ანაგას** (ქიდლის კალოები) გალოთებულები დათა და იაგორ ტალიაშვილები თავს დაეცნენ გომში მწოლარე ლადო გორელაშვილს და ისე სცემეს, რომ არავინ იცის მორჩება თუ არა.

✦ **რევოლვერის სროლა და კლუბის ფანჯრების ჩალეწა.** 7 ოქტომბერს, როცა ადგილობრივ კლუბიდან ხალხი წავიდ-წამოვიდა, კლუბის ბუფეტთან ერთს პატარა კამპანიას ძალიან ბევრის ლოთობის შემდეგ მოჰსვლიათ ჩხუბი, რომლის შედეგიც 18 კარების ფანჯრის შუშების და ერთი სარკის ჩამტვრევა გახლდათ და თანაც რევოლვერის ვარჯიშობა. („ხმა კახეთისა“)

სოფლად

✦ **შუქრუთი.** (შორაპნის მაზრა) წვრილ საკრედიტო ამხანაგობათა ინსპეკტორ ჯაფარიძის თანადასწრებით, ოთხშაბათს, 10 ოქტომბერს, აქ შესდგა სასოფ. წვრილ საკრედიტო ამხანაგობის წევრთა კრება, რომელსაც 20 წევრი დაესწრო. აირჩიეს გამგეობა და საბჭო. ფარული კენჭის ყრით გამგეობის წევრებად არჩეულნი არიან: მასწ. ვ. გელაზანია, ა. ჩინჩალაძე და ა. ჩაჩანიძე,—გამგეობის თავმჯდომარედ მასწ. ვ. გელაზანია. ინსპეკტორიდან გამგეობამ მიიღო ყოველგვარი საწარმოო წიგნები, ამხანაგობა მალე მოქმედებას დაიწყებს.

✦ **ახალციხის მაზრაში** წელს ასეთი მოსავალი იყო პური მოვიდა სულ 321838 ფუთი, ქერი—256040, სიმინდი 57430, და კართოფილი—145860 ფუთი. ხორბალი ფუთი ფასობს 1 მან. 60 კ. ქერი—95 კ., სიმინდი—70 კ. და კართოფილი—40 კაპ. სოფლებ: ზედუმანში, შურდოში ბალაში, გურგელში, აგარაში, ზიკალიაში, აწყურში, წინებანში, წარბასტუმანში, ორჯობანში, მარელში, ხუტაჯვარში, ჩიხულში, ჩურჩუღაში და ფარეხში ნათესი ძლიერ გაფუჭა სეტყვამ. ამიტომ ამ სოფლებში მოსავალი ცუდი იყო. გასაყიდი ხორბალი არ არის.

✦ **სოფ. გულგულაში** თელავის მაზრა) უცნობებმა გასტეხეს მრთლმადიდებელთა ეკლესია და წმინდა საეკლესიო წიგნები წაიღეს.

არჩევნები ჩვენში

14 ოქტომბერს ხელმეორედ დანიშნული იყო არჩევნები ქ. სიღნაღში.

ქუთაისში არჩევნები დანიშნულია არა თვრამეტს ოქტომბერს, როგორც ჩვენს გაზეთში იყო აღნიშნული შეცდომით, არამედ **ჩვიდმეტ** ოქტომბერს.

ქუთაისის ავ-კარგი.

სათათბიროს არჩევნები სრულდება. ქ. ქუთაისის გარდა ყველა მაზრებსა და ქალაქებში არჩეულია თავთავისი ამომრჩევლები. 20 ამ თვეს,

როგორც პეტერბურგის სააგენტომ გვაცნობა, უნდა მოხდეს საგუბერნიო არჩევნები და ამავე დღეს გავიგებთ, ვინ ეყოლება წარმომადგენლად დასავლეთ საქართველოს სახელმწიფო სათათბიროში.

ვლ. ციქელაძის გადადგომისა და ჩრდილოეთისაკენ გამგზავრების შემდეგ, დეპუტატის ადგილის მოპოვებას ერთმანეთს ეცილებიან დასელები და კიტა აბაშიძეს მომხრენი.

დასელებს, როგორც მოგეხსენებათ, პოზიცია უჭირავთ, მათ მესამე სათათბიროში თავისი წარმომადგენელი ჰყავდათ და გასაკვირველი არ არის, თუ ყოველ ღონისძიებით სცდილობენ მეოთხეშიაც გაგზავნონ თავისი წარმომადგენელი, მაგრამ მათდა სამწუხაროდ, წინად გალაღებულთ და გათამამებულთ, ეხლა ბედმა უმტყუნა. 35 უკვე არჩეულ ამომრჩეველში, დასელების ძალას შეადგენს 14 ამომრჩეველი, დანარჩენი-კი გარდა 2—3 კაცისა, ყველა კიტა აბაშიძის მომხრეა. ისიც, რომ წარმოვიდგინოთ, რომ ქ. ქუთაისი მათ კიდევ სამ ამომრჩეველს შესძენს, მათი ძალა 17 ამომრჩეველს არ გადასცილდება, მაშასადამე ამ უკანასკნელ შემთხვევაშიაც ისინი ვერ შესძლებენ თავის ძალებით თავისი კანდიდატის გაყვანას. თითონ დასელებს რომ ჰკითხოთ, მათ ამ ჟამად 14 ამომრჩეველი კი არა, 15 ჰყავთ, იმ ანგარიშით, რომ ლეჩხუმელ გლეხთა წარმომადგენელთ ფრუიძე მათ მისცემს ხმას, მაგრამ მისი წერილის გამოქვეყნების შემდეგ გაზ. „იმერეთში“ ეს იმედი გაქარწყლებული უნდა ჰქონდეთ. მაგრამ უბედურობა ის არის, რომ არც ეს 14 კაცია საიმედო, რადგან გლეხთა ზოგიერთი ამომრჩეველი დასელების კანდიდატს აძლევს ხმას მარტო იმ შემთხვევაში, თუ გეგეჭკორი იყრის კენჭს, სხვა პირობებში, ისინი ხმას კიტა აბაშიძეს მისცემენ. და ვინაიდან გეგეჭკორს სამაზრო კომისიის გადაწყვეტილებით ქუთაისში კენჭის ყრის უფლება წაერთვა და მას ხმის უფლებაც კი აღარ აქვს და სენაკის მაზრაში იგი გაშავდა, უნდა ვიგულისხმოთ, რომ 14 ხმას თუ მეტი არა 2—3 ხმა მაინც აკლდება.

აქედან მკითხველი დაინახავს, რომ დასელებს დასავლეთ საქართველოში გეგგმონია წაერთვათ და ეჭვი არ არის მათთან მებრძოლი ჯგუფი გაგზავნის თავის წარმომადგენელს.

ვინ იქნება იგი? ძალაუნებურად ისმის კითხვა.

ამ კითხვის პასუხის მოცემა შეუძლიან 17 ოქტომბერს, როდესაც ქუთაისმა უნდა აირჩიოს სამი ამომრჩეველი. თუ კიტა აბაშიძის მომხრეებმა გაიმარჯვეს და სამ ამომრჩეველში კიტა აბაშიძეც მოხვდა, მაშინ აღარავისთვის საეჭვო აღარ არის, რომ ის იქნება დიდის უმრავლესობით არჩეული სახელმწიფო სათათბიროს წევრად, რადგან მის მეტი ჯერ არავინ არის დასახელებული კანდიდატად, თუ იმდენი ძალა და ფხა ვერ გამოიჩინეს კიტა აბაშიძის მომხრეებმა და თავის სია ვერ გაიტანეს, მაშინ ის ჯგუფი, რომელსაც კიტა აბაშიძე ჰყავდა დასახელებული კანდიდატად იქონიებს თათბირს და სხვა კანდიდატს დაასახელებს.

ამ პირობაში რა რიგად განაწილდებიან ძალები წინდაწინვე მოსაზრება ძნელია, რადგან დასელებს სამი ხმა მიემატებათ, თუმცა უმრავლესობა არ ექნებათ. დანარჩენი 21 ხმიდან შეიძლება 2—3 კაცი შეიყაროს და ან ერთ ჯგუფს მისცენ უმრავლესობა ან მეორეს, მაგრამ უფრო მოსალოდნელია, რომ დასელები ლელოს ამ შემთხვევაშიაც ვერ გაიტანენ.

* * *

წ. კ. გ. საზოგადოების მთავარმა გამგეობამ ნაცვლად იმ პირთა, რომელთაც სამსახურის ვადა გაუვიდათ სენაკისა და ქუთაისის საანბარო პირველ დაწყებით სკოლების სამზრუნველოში, შემდეგი პირნი აირჩია: თ-დი მელქისედეგ ფალავა, თ-დი კირილე ლორთქიფანიძე, ქალაქის თავი ილია ჩიქოვანი, ექიმი ვასილ წერეთელი, გიორგი ქავთარაძე, სამსონ ყიფიანი და პეტრე ყიფიანი.

ეს პირნი მთავარი გამგეობის მოწოდებით მოკლე ხანში შეიკრიბებიან პრეზიდიუმის ასარჩევად და შემდეგ ამისა შეუდგებიან თავისი მოვალეობის აღსრულებას.

* * *

წრევანდლამდის ქართული გიმნაზიის მოსწავლეთ სამხედრო ბეგარიდან ანთავისუფლებდნენ ვიდრე კურსს არ დაამთავრებდნენ; წრეულს შემოდგომაზე გიმნაზიის ადმინისტრაციას აუწყეს, რომ ასეთი უფლება გიმნაზიას კვლავ აღარ ექნებაო. თავად-აზნაურთა წინამძღოლმა შუამდგომლობა აღძრა, რომ ეს უფლება გიმნაზიას დაჰბრუნებოდა და 13 ამ თვეს ნამესტნიკის კანცელარიიდგან მოვიდა ცნობა, რომ ზევით აღნიშნული უფლება გიმნაზიას კვლავ დაუბრუნდა.

სამაგიეროდ გიმნაზია ვალდებული შეიქმნა მეოთხესა და მეექვსე კლასებში სამასწავლებელო ოლქის დეპუტატის თანადასწრებით მოახდინოს ეგზამენები შემდეგ კლასებში გადასასვლელად.

ფეიერვერკები

ქუთათური დასელები გეგეჭკორის ნაცვლად ლეო ნათაძეს ასახელებენ

გაზეთებიდან.

საწყალი ლეო!

„ჩვენი“ ლეო!

რას იფიქრებდა, თუ სადეპუტატო კაცად გაჰხდებოდა.

იჯდა თავისთვის, არავისათვის არაფერი დაუშავებია. ბუნებით ბოროტი ადამიანი არ არის, და ვისთვის რა უნდა დაეშავებინა. ხანდახან წახედულება აიტაცებდა ხოლმე და ლექციებს წაიკითხავდა. მერე რა ვუყოთ? ბავშვია და ერთობა. მართლა და მართლა, ლექციების კითხვა რა ისეთი დიდი დანაშაულობაა, რომ ამისთვის ასე სასტიკად და ულმობელად დასჯოთ... დეპუტატად აირჩიოთ. მეც ვიცნობ რამდენიმე ლექტორს. ხშირად კითხულობენ ლექციებს ახალგაზრდა პოეტებზე, ძველ კერპებს „ბდღვირს“ ადენენ, ერთის სიტყვით, ლექტორობენ და ლექტორობენ, მაგრამ დეპუტატად იმათ არავინ ირჩევს.

საწყალ ლეოს რაღას ერჩით, რა დაგიშავათ?

მერე პირადად მაინც არ ვიცნობდე!

ძალიან კარგი ბიჭია და სწორედ ამიტომ გემუდარებით, ნუ დაღუპავთ, დეპუტატად ნუ აირჩევთ. რა იმის საქმეა! ის არა სჯობიან აქ იყოს, ჩვენთან ახლოს; ოქრო ისეთი ძვირფასი რამ არის, რომ შორს არ უნდა გადავაგდოთ. ჩვენში ისევ ლექციების კითხვას განაგრძობს, იბსენის პოეზიაში ლობიოს დაუწყებს ძებნას, გასწყრება, როდესაც შანშიაშვილის პოეზიაში ღოლო შეჰამანდს ვერ აღმოაჩენს და ამ გვარად თითონაც გაერთობა და ჩვენც გაგვართობს.

სათათბიროში კი აბა რა უნდა აკეთოს?

სათათბიროს რომ ქუთაისის თეატრი არ არის, რომ მსმენელებად მარტო „გალიორკა“ და „ეშმაკ-თაგუნები“ ჰყავდეს! ნუ ჩააგდებთ ეხერხულ მდგომარეობაში საწყალ ლეოს, ღმერთს გეფიცებით ასეთი სასჯელი არ დაუმსახურებია.

საწყალი ლეო!

„ჩვენი“ ლეო!

რა დროს მოესწრო!

უცნობი.

სხვა და სხვა ამბავი

ამას წინად იახტა „შტანდარტ“-ის კაპიტანმა კონტრ-ადმირალმა ჩაგინმა თავი მოიკლა, მას დიდი თანხა დაუტოვებია კურსებზე მისი ასულ სოკოლოვის ქალის სახელობაზე. ანდერძში თურმე ნათქვამია: უკეთუ ქ-ნმა სოკოლოვმა თავი მოიკლას, ეს თანხა მის დედას გადაეცესო. ამ ანდერძის გაგების შემდეგ ქ-ნ სოკოლოვს ორჯელ განუზრახავს თავის მოკვლა, მაგრამ გადაურჩენიათ.

ბალკანეთის ომი

დეპეშები

ბულგარეთის მხრით.

სტარაზაგორა. მრავალი ტყვე ჯგუფებით მოედინება. მათი შეიარაღება და სამოსელი ოსმალეთის ჯარის სიღარიბეს ჰმოწმობს. ბულგარეთის „წითელი ჯვარი“ იწვევს ჯარში ექიმებს და სტუდენტებს.

სოფია. 10 ოქტომბერს ოსმალეთის კრეისერი „გამოდიე“ კარნის წინ გამოჩნდა, მაგრამ მაშინვე მიიმალა.

სოფია ეარკულისი ბულგარელებმა იერიშის მიტანით აიღეს. წაართვეს ოსმალებს დროშები, იარაღი და დიდძალი სურსათი. მეხომიის დროს, რაზლოგის კაზაში, ბულგარებმა ორი ზარბაზანი ხელთ იგდეს.

სტამბოლი. გამოქვეყნდა ოფიციალური ცნობა: რათა უკუ-გვეგდო ბულგარეთის ჯარი, თუნჯის აღმოსავლეთით რომ წამოვიდა და ამით მოგვეგო დრო, სანამ მაშველი ჯარი მოვიდოდა, ოსმალები მარჯვენა მხრით დაეცნენ ბულგარებს. ბულგარებმა უკან დაიხიეს და ამით დრო დაკარგვინეს. ოსმალებმა ვერ გაჰბედეს ხელმეორედ შეჰბმოდნენ ბულგარელებს, რადგან შედეგი მათთვის საეჭვო იყო და დაიხიეს სრული წესი-რიგის დაცვით. ბულგართა იერიშს გმირულად უხვდებოდა ხოლმე ოსმალოს ჯარი. ოსმალთა მიზანი მიღწეულია.

სოფია. ესკადრა მთელი დღე ზღვაში დასცურავდა. კონცხის გალიაკარის ახლოს ოსმალებმა სრულიად უნაყოფოდ აუტეხეს სროლა ვარნას. ბევრი ოჯახი ვარნიდან სხვაგან გადასახლდა.

სტარაზაგორა. პეტერბურგის საგენტოს კორესპონდენტმა დაათვალიერა საავადმყოფოები. ექიმების რიცხვი ფრიად მცირეა.

სოფია. ყველა გზებზე საშინელი ბრძოლაა. ყველგან ოსმალნი თავის პოზიციიდან იდევნებიან. ჯარი რაზლოგის ოლქით სამხრეთისკენ მიდის. ტამრაშის ოლქი სრულიად მოსწყდა ოსმალეთის მიწა-წყალს. ადრიანოპოლის მახლობლად ბულგარები ოსმალების ჯარს წაეწყდნენ. ოსმალები გაჰფანტეს, მოუკლეს 100 კაცი და 160 ტყვედ წაიყვანეს. ბულგარების დანაკარგი მცირეა. ჩრდილო აღმოსავლეთის მხარეზე ადრიანოპოლის სიმაგრე ელინი აიღეს. ოსმალებმა ცხარე ბრძოლის შემდეგ ბრძოლის ველი დასტოვეს და სიმაგრისკენ მიაშურეს. ბულგარებმა აიღეს შავი ზღვის მახლობლად მდებარე სოფელი ვასელიკო. შიზეს მიუახლოვდნენ. დაჭერილია აგრედვე ქალაქი მალოტირნოვო: ოსმალო ტყვენი ამბობენ, რომ ოსმალეთის ჯარი სულით დაცემულიაო, ცუდი სასმელ-საჭმელი აქვთო.

სოფია. ოფიციოზი „მირი“ უპასუხებს უცხოეთის პრესას, რომ სხვა სახელმწიფოთა ჩარევა ბალკანეთის ომში საფუძველს მოკლებული იქნებაო, რადგანაც თვით ბალკანეთის სახელმწიფოებმა იკისრეს თავის ინტერესების დაცვაო.

ნოვოზაგორა. 10 ოქტომბერს, როცა ოსმალონი სტრუმისკენ იწევდნენ გზად გადასწვეს მრავალი სოფელი.

სოფია. გარემოება ადრიონოპოლთან უცვლელია. იარაღშთან ოსმალიებს მოუკლეს 300 კაცი და 500 ტყვედ წაიყვანეს. წაართვეს აგრედვე სამი ზარბაზანი. კირჯალში ბულგარებმა ერთი მილიონი პატრონა და მრავალი სხვა საომრო სურსათი ხელთ იგდეს. მეტომიის ბატონ-პატრონად ბულგარები არიან სეხზევოც ბულგარებმა დაიჭირეს.

სტარაზაგორა. კირკილისის აღებით ომის პირველი ხანა გათავებულად ჩაითვლება. ბულგარებმა სტამბოლისკენ გზა გაიკაფეს. მეორე პერიოდში დაქსაქსულ მტერს უნდა ელლო. ოსმალეთის ჯარის ერთი ნაწილი ადრიანოპოლის სიმაგრეში შეიხიზნა, მეორე ნაწილი კი საშინელი უწესრიგობით ბულგარიისკენ გაეშურა.

სტარაზაგორა. ლოზენგრადის აღების გამო ეკლესიაში, ფერდინანდ მეფის თანადასწრებით გადაიხადეს პარაკლისი.

სოფია. ავსტრიის სასანიტარო მისია პროფესორ კლემონომის მეთაურობით სოფიაში მივიდა.

სოფია. ბულგარეთის საგენტო აბათილებს ოსმალეთის საგენტოს ცნობებს, ვითომ ბულგარებმა ოსმალეთის მიწა-წყალზე დასწვეს მუსულმანთა სოფლები და მცხოვრებლების მიმართ საშინელ ვერაგობას სჩადიოდნენო. ოსმალეთის საგენტოს ცნობას მხოლოდ ერთი მიზანი აქვს—საზოგადოების თვალში დასცეს ბულგარეთიო. ოსმალეთის ცნობები ბულგარების დამარცხებასა და ოსმალების გამარჯვებაზე განგებაა შეთხზული.

ლონდონი. რეიტერის საგენტო იუწყება სოფიიდან, რომ კირიკელისთან ბულგარებმა წაიყვანეს ტყვედ 50,000 ოსმალო.

სოფია. 300 ტყვე ოსმალო მოიყვანეს. 13 ღვინობისთვეს კარნოსთან გამოჩნდა ოსმალეთის კრეისერი „გამიდიე“ და ცოტა ხნის სროლის შემდეგ ისევ მიიმალა. მეფემ ქებით მიჰმართა აფიცრებს და ჯარისკაცებს, ვინც მედგრად იბრძოდა კირიკილესის აღების დროს.

ფილიპოპოლი. ლოზენგრადის აღების დროს ბულგარებმა 39,000 ტყვე შეიპყრეს. მათ შორის არის პრინცი აბდულ-ქოლოლ და მაჰმუდ-მუხტარ-ფაშა. დიდძალი იარაღი დარჩათ ოსმალებს. ბულგარეთის დანაკლისი ფრიად საგრძნობია.

სერბიის მხრით.

სტამბოლი. ოფიციალურად გვაცნობებენ, რომ ოსმალეთის დასავლეთის ჯარი, კუმანოვოს მახლობლად რომ არის შეკრებილი, იერიშით მივიდა სერბიის ჯარზე. ფიცხელი ბრძოლის შემდეგ სერბიის ჯარი სრულიად დამარცხდა და ჩრდილოაღმოსავლეთისკენ გაემართნენ. ოსმალოს ჯარი სდევნის გაქცეულებს.

სარაევო. გაზეთების ცნობებით, ოსმალეთის ბევრი ჯარის-კაცი ოფიცრებითურთ სერბიელებს ბოსნიაში გაექცნენ.

ბელგრადი. ვუჩირინი სერბიელებმა აიღეს. გილინე სერბიის მოხალისეთ აიღეს კუმანოვაში 10 პულემიოტი, 18 ზარბაზანი; მურადის და ლაზარე მეფის საფლავზე, როშელნიც დაიხოცნენ საისტორიო კასოვის ბრძოლაში, საპატიო ყარაულია დაყენებული.

ბელგრადი. მოვიდა კიევის სასანიტარო რაზმი 50 საწოლით.

ბელგრადი. ოფიციალური ცნობით 9 ოქტომბერს ტენებდოლასთან ბრძოლა დაიწყო. პრიშტინში მრავალი არნაუტი ყოფილა შეფარებული. ზოგმა მათგანმა სერბიის ჯარისკაცებს სროლა აუტეხეს. ნოვობაზარი ახლო-მახლო მიდამოებით შეტანილია ნოვობაზარის ოლქში, რომლის უფროსადაც დანიშნულია ყოფილი მინისტრი იოვანოვიჩი.

ვრანია. სერბიელებმა ფერიკოვიჩი აიღეს.

ბელგრადი. მესამე არმიის რაზმმა უბრძოლველად დაიპყრო ფერიზოვიჩი, როცა გზა ჰხსნის მიტროვიცსა და უსკიუბისკენ მესამე არმია მიეშურება უსკიუბისკენ და თუ კაჩნიკოვის უღელ-ტეხილზე ძლიერ წინააღმდეგობას არ გაუწევენ, ხვალ მიადგებიან უსკიუბს.

ბელგრადი. ოფიციალური ცნობების თანახმად მესამე არმიის წინა რაზმები უკვე უსკიუბთან იმყოფებიან. მთავრობა და მცხოვრებნი სტოვებენ საჩქაროდ ქალაქს. გენერალი პაპრიკოვი ცეტინისკენ გაეშურა, ჩერნოგორიის არმიაში ბულგარეთის წარმომადგენლის თანამდებობის დასაკავებლად.

გუშინ მოიყვანეს 1000 დაჭრილი, მოელიან კიდევ 700.

ბელგრადი. უსკიუბი აიღეს სერბიელებმა.

ბელგრადი. მოვიდა კიევის და მოსკოვის სასანიტარო რაზმი, 200 საწოლით. ტახტის მემკვიდრის მეთაურობით სერბიის ჯარმა უსკიუბი აიღეს. ბელგრადში აუწერელი სიხარულია.

ბელგრადი. უსკიუბის აღების გამო ქალაქის ქუჩებს სადღესასწაულო ელფერი აქვს. აუწერელი აღტაცებაა. ზევი-ფაშას ჯარი არეულ-დარეულად უკან იხევს.

ბელგრადი. ოფიციალური ცნობებით, მეოთხე ჯარის რაზმები შეუერთდა გენერალ ვუკოტიჩის ჯარს. უსკიუბის აღების გამო მანიფესტაციებს ახდენენ რუსეთის საელჩოსა და მოკავშირე სახელმწიფოთა საელჩოების პირდაპირ.

ვრანიე. კუმანოვთან ახლოს ბრძოლა დილით დაიწყო—სერბიის ჯარი სროლის შემდეგ ხიშტებით მივარდა ოსმალთა სიმაგრეს და უმალვე აიღეს. ოსმალნი უწესრიგოდ უსკიუბისკენ გაეშურნენ.

ბელგრადი. საავადმყოფოებში უადგილობის გამო საქველმოქმედო საზოგადოებამ მოაწყო საავადმყოფო 110 საწოლით.

საბერძნეთის და ჩერნოგორიის მხრით.

რეკა. ჩერნოგორიის სამხრეთის ჯარის უფროსმა მარტინოვიჩმა ტარაბობის გარნიზონს წინადადებით მიჰმართა დაჰნებებულიყო, რათა სისხლის ღვრა თავიდან აეცილებინა.

სტამბოლი. ხმებია, ვითომ იანინის მახლობლად ბრძოლა გაჩაღდაო. საბერძნეთის გემი სალონიკის ყურეში გამოჩნდაო.

ათინა. ბერძნებმა დაიჭირეს კუმსადეს გასავალი, რომლის მცხოვრებნი საშინლად აწამეს ოსმალებმა: 25 ჰაბუკი თოკებ გადაჭერილი გამოიყვანეს მინდორში და დახვრიტეს. გადასწვეს 860 სახლი.

ათინა. ცხენოსანთა ბრიგადა, კოჩანში რომ მიდიოდა, გზად დაიჭირა ქალაქი ტოროტი.

ათინა. ბერძნებმა დაიჭირეს ფელიპიადა, ლურო, ელეკტეროკორი და პანტანასის ხიდი. სტეველიცში მოვიდნენ ოსმალონი. როცა უკან დაიხიეს მათ ბევრი საომრო სურსათი დასტოვეს. შეიპყრეს ტყვედ აფიცერი და 12 ჯარის-კაცი. ბერძნებმა აიღეს ქალაქი კოჟანი. ვენიზელოსმა სთქვა სახელმწიფოთა ჩარევის გამო ბალკანეთის საქმეებში: თუ დიდი სახელმწიფონი ბალკანეთის სახელმწიფოთა განსახილველად წინადადებას წარუდგენენ და თუ ეს წინადადება შეეფერება ჩვენ მიზანს, მივიღებთ დიდ სახელმწიფოთა „სამსახურსო“!

ცეტინიე. ჩერნოგორელები ნოვობაზარის სანჯაყში შეხვდნენ სერბიელებს სენიცასთან, სკუტარი დამშვიდებულია. დილით ოსმალონი იერიშით მივიდნენ. მათი ცდა უნაყოფო იყო.

ათინა. საბერძნეთის ჯარმა კოჟანი დაიჭირა. ვენიზელოსის ორი შვილი, ბრძოლის დროს დაიჭრა.

ოსმალეთი.

სტამბოლი. პორტაში ირწმუნებიან, კირკილესიდან ოსმალებმა ბულგარები გასდევნეს. სასახლეში თათბირია გამართული. მონაწილეობას იღებენ მინისტრების გარდა ქილმიფაშა, ულემები და სხვა წარჩინებულნი პირნი. ოფიციალი ცნობებით გუნიცის სიმაღლის აღების დროს, ოსმალები თავგანწირვით ებრძოდნენ ბერძნებს და დაამარცხესო.

სტამბოლი. ყოველ დღე სტამბოლში დაჭრილები მოჰყავთ. გუშინ 400 დაჭრილი მოიყვანეს.

სტამბოლი. 10 ღვინობისთვის ოფიციალი ცნობით ოსმალო აღმოსავლეთის ჯარი სატაქტიკო მოსაზრებით უკან იწევს.

ომი და სახელმწიფონი.

ბუდაპეშტი. დასავლეთ ჰუნგრეთში, კუუტკაში დაიჭირეს საძი ვაგონი დატვირთული თოფის წამლით, რომელიც გერმანიიდან ბულგარეთში გადაჰქონდათ.

პეტერბურგი. სერბიაში გაემგზავრა სამხედრო სასანიტარო რაზმი 50 საწოლით.

ვენა. ჰოდგორიცასა და სოფიაში „წითელ ჯვრის“ საზოგადოებამ გაგზავნეს სასანიტარო რაზმები.

ვენა. პალატა. გერმანელმა დეპუტატმა ცინკერმა, როდესაც ბალკანეთის ამბების გამო იყო ლაპარაკი, სთქვა: თუ მართლა სანჯაყი ავსტრიის საეკონომიო განვითარებისთვის აუცილებელი იყო მთავრობა 1908 წელს ოსმალეთს არ მისცემდაო, და თუ მისცა, მაშასადამე სანჯაყი ასეთ ღირებულებას არ წარმოადგენს, რომ მისთვის ომი დაიწყოსო. როგორ შეიძლება ეომო სერბიას, როდესაც 6½ მილიონი სერბიელი და ხორვატი ავსტრიის პოლიტიკას ერთსულოვნად ღრმა პროტესტს უცხადებენო.

ვენა. „ნეიეს-ვინერ-ტაგებლატი“ საზონოვის ნათქვამ სიტყვებს, რომელნიც „დეილი-ტელეგრაფი“, კორესპონტენტის დელონისთვის უთქვამს საისტორიოს ეძახის. ნათელი, გამორკვეული, გულწრეფელი პოლიტიკა რუსეთისა სრულიად ეთანხმება სხვა სახელმწიფოთა ზრახვასო. გაზეთი მიესალმება საზონოვს, რომელიც ბალკანეთის საქმეებში მთავარ როლს თამაშობდაო.

კოპენ-ჰაგენი. დანიის სახელმწიფომ გამოაქვეყნა ბალკანეთის ომში ნეიტრალის დაცვის გადაწყვეტილება.

ვენა. გაზეთები მოკავშირე სახელმწიფოთა გამარჯვების გამო აღნიშვნენ მათ მხნეობას და გმირობას მხოლოდ ოსმალეთის დაძაბუნებას და სისუსტეს. მოთავეები ეჭვში არიან, შესაძლებელია თუ არა ბალკანეთის „სტატუს-ქვო“ს დაცვა, თუ მოკავშირე სახელმწიფონი გაიმარჯვებენო.

ლონდონი. რადგანაც ომის გადამწყვეტი ბრძოლა ბალკანეთში მოსალოდნელია, დიდი სახელმწიფონი მოლაპარაკებას შეუდგნენ, რათა ხელი შეუშალონ ბალკანეთის ომის გართულებას ევროპაში. როგორც რეიტერი იტყობინება, ლონდონის სადიპლომატიო წრეში ბალკანეთის „სტატუს-ქვოს“ აღდგენა შეუძლებლად მიაჩნიათ. ბალკანეთის სახელმწიფოთა კავშირი დროებითი კი არ არისო, ირამედ ისინი ეცდებიან რომ ბალკანეთი ბალკანელებისთვის იყოსო.

სიმფეროპოლი. დაარსდა საზოგადოება, რომელიც შეაგროვებს შემოწირულებას ბალკანეთის ქრისტიან მცხოვრებთა დასახმარებლად.

პარიზი. საზოგადოების აზრის მიხედვით ბალკანეთის სახელმწიფოთა გამარჯვება ძირითადად სცვლის ბალკანეთის მოგომარეობას, გარნა გაზეთები ამბობენ რომ, ჯერ კიდევ ადრეა ოსმალეთის დამარცხებაო.

რომი. სლავიანთა გამარჯვებას აქ დიდის სიამოვნებით ჰხვდებიან. ძლიერ საეჭვოა, შეუძლიანთ თუ არა სახელმწიფოებს ბალკანეთს უარი ათქმევინონ ომით მოპოებულზე.

ვენა. გაზეთები სწერენ, რომ საჭიროა გამოიცვალოს თვალთახედვის ისარი, რომლითაც ჩვენ ბალკანეთის სახელმწიფოთა კენჭზე ეუყურებდით. ეს არის ახალი ხანა ევროპის ერთა ცხოვრებაში. „ნეიეს-ფრეესე“ სწერს: ყოველი ახალი გამარჯვება ბალკანელების სლავიანებისა, გვაშორებს ბალკანეთის „სტატუს-ქვოს“ დაცვის იმედსო. ძველ გზას რომ დაუბრუნდეთ, საქმე ძლიერ დაიხლართებაო. „რეიხს-პოსტი“ სწერს: „ბალკანეთის სტატუს-ქვო გარდაიცვალაო. არავითარ სადიპლომატო ხელოვნებას არ შეუძლიან იგი გამოაცოცხლოს, ცხოვრებას დაუბრუნოსო.

ავსტრია-ჰუნგრეთმა თავისი ინტერესები უნდა შეუფარდოს ახლად გადაშლილ კოკორ სახელმწიფოებსო, მით უმეტეს მათი ინტერესები სრულიად არ ეწინააღმდეგებიან ავსტრიის პოლიტიკასო.

ნანტი. ჰუანკარემ თავის სიტყვაში, რომელიც ბანკეტზე წარმოსთქვა, აღნიშნა რომ საფრანგეთის მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობს ბალკანეთის ომი ადგილობრივად შეზღუდოს. ამის შედეგი არის ყოველ დღიური მოლაპარაკება ინგლისისა და რუსეთის სახელმწიფოებთან. ამ სამ სახელმწიფოთა მოქმედებას შეუძლიან ევროპა უზრუნველჰყონ ომისაგან. მშვიდობიანობის დასაცავად საჭიროა უდიდესი მოთმინება, ხალხის ენერგიის შენახვა, რომელსაც ომი არ უნდა, მაგრამ მისი არ ეშინიან.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. საგენტო)

14—15 ოქტომბერი.

რუსეთი

მემკვიდრის ავადმყოფობა.

პეტერბურგი. ბიულეტენი მემკვიდრის ავადმყოფობისა. 14 ღვინობისთვე დილის 10 საათი. მემკვიდრეს კარგა ეძინა. დილით სიცხე 37,7, მაჯის-ცემა 120, კარგაა.

თეატრი და ხელოვნება

სახალხო სახლი. გოგოლის რევიზორი, რომელიც ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველმა წრემ 13 ოქტომბერს ზუბალაშვილის სახალხო სახლში დასდგა, ერთი იმ ნაწარმოებთაგანია, რომელმაც ძალიან დიდი კვალი დასტოვა რუსულ მწერლობაში. გოგოლმა თავის მწერლობის გამო დიდი სულიერი ტანჯვა განიცადა. მისი ცრემლ-მოდენული სიცილი ისე არავისზე მოქმედებდა როგორც თვით ავტორზე. წყვდიადი იყო გამეფებული რუსეთში იმ დროს, როდესაც გოგოლი გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე. როგორც თავისი დროის საუკეთესო შვილი, იგი მედგრად დაეტაკა გარემოცულ სიბნელეს, და შეიქმნა უკვდავი გმირები გოგოლის ნაწარმოებისა. ნიჭიერს მწერალს ბევრი დაბრკოლება უნდა ეძლია. ჯერ ერთი, ყალბ მწერლობაზე აღზრდილი ნაზოგადოება ვერ შეურიგდებოდა გოგოლის რეალისტურ საშუალებას წერისას. მეორეც, გოგოლის ნაწარმოებებში იმდენად ცხადად, იმდენად მკვეთრად არის ჩამოყალიბებული ყველა უარყოფითი მხარეები მაშინდელ რუსულ სინამდვილისა, რომ თავზარი დასცა ყველას. რა თქმა უნდა გოგოლს მტერიც ბევრი გაუჩნდა. არამც თუ მაშინ, ეხლაც კი, მეოცე საუკუნეში, ზოგიერთს კრიტიკოსს იგი „დამნაშავის ტიპად“ მიაჩნია. ავადმყოფია გოგოლის ფანტაზია, რადგანაც იგი სინამდვილეში უარყოფითი მხარეების მეტს ვეღარაფერს ჰხედავდაო. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ეს ასე არ იყო. გოგოლი ბევრს კარგს მხარესაც ჰხედავდა, აკი კიდეც მოინდომა ამ დადებითი მხარეების აღწერა, მოინდომა, მაგრამ ვეღარ შეასრულა, ავადმყოფობამ უმტყუნა. გოგოლი, როგორც მგრძნობიარე ადამიანი მარტო არ იცინოდა, იგი სტიროდა და სტიროდა არა თვალთმაქცურად, არამედ მთელის თავისი მგრძნობიარე არსებით. ხელოვნურ ფორმებში ჩამოსხმული მახინჯი სინამდვილე, სხვებისთვის სასაცილო, თვით ავტორისთვის სულიერ ტანჯვისა და ტრაგედიის მიზეზად ჰხდებოდა. იქნება სწორედ ამ ტანჯვამაც გადაიტანა ნიჭიერი მწერალი.

მიუხედავად ამისა, გოგოლი მაინც უკვდავი გახდა რუსის მწერლობისთვის. მასზე აღიზარდა რამდენიმე თაობა რუსის საზოგადოებისა, გოგოლის პიესები, განსაკუთრებით კი მისი „რევიზორი“, მუდამ ყველა თეატრის რეპერტუარში იყო ხოლმე. მხოლოდ უკანასკნელ წლებში, როდესაც დადგა ხანა „ძიებისა“, გოგო-

ლი დაივიწყეს. მისი ცოტად მოძვებული საშუალებანი წერისა „მაძიებელთ“ ვეღარ აკმაყოფილებდა. მაგრამ მოსკოვის სამხატვრო თეატრმა „რევიზორის“ განახლებაც მოისურვა. ჩვენ არ ვიცით, როგორ შეასრულა თავისი განზრახვა სამხატვრო თეატრმა. მაგრამ, თუ „რევიზორის“ სტრუქტურას გავითვალისწინებთ, არსებითი რამ ცვლილების შეტანა ამ ნაწარმოებში შეუძლებელი გაჰხდებოდა.

სახალხო სახლის სცენის მოყვარენი აცხადებდნენ, „რევიზორი“ დაიდგმება ისე, როგორც სამხატვრო თეატრში იდგმებაო. აქაც მოისურვეს შაბლონის გადალახვა. მართლაც, მიზანი რაოდენადმე მიღწეულია. სახალხო სახლში ჩვენ შაბლონურად დადგმული „რევიზორი“ კი არა ვნახეთ, არამედ ისეთი, რომელსაც ემჩნეოდა როგორც შემოქმედებითი, ისე წმინდა ტეხნიკური მუშაობა.

გოგოლის ნაწარმოებში ცენტრალურ მომქმედ პირად ითვლება გოროდნიჩი (ბ-ნი ილ. ზურაბიშვილი) და ხლესტაკოვი (ბ-ნი ნ. ჯანკვატაძე). მიუხედავად ამისა, ყურადღება ამ ორს მომქმედ პირზე ვერ დავამყარეთ. რეჟისორის ჯადოსნურ ხელის წყალობით თვითოეული მომქმედ პირთაგანი ცენტრალურ ფიგურად გადაიქცა. ეს იყო მთლიანი, შეხმატკბილებული და გონივრულად ნააზრევი წარმოდგენა. უპირველესად ყოვლისა, არ იყო გადამეტებული ჯარი. მომქმედ პირთა კომიკური მდგომარეობა ზომიერების საზღვრებს არა სცილდებოდა. ეს, როგორც არა ერთხელ აღგვინიშნავს, უმთავრესი განძია სახალხო სახლის წარმოდგენებისა. კერძოდ თითქმის ყველა კარგად ასრულებდა ნაკისრ როლს. ბ-ნი ილ. ზურაბიშვილი (გოროდნიჩი) პირველს ორს მოქმედებაში სუსტობდა. განსაკუთრებით პირველ მოქმედებაში იგი თავის როლს უფრო ჰკითხულობდა, ვიდრე ჰთამაშობდა. ამას გარდა, ინტონაციის მთლიანობა დაცული არ იყო. ხან მაღალის ტონით ლაპარაკობდა, ხან დაბალის. სამაგიეროდ მესამე მოქმედება და მეხუთე გრძნობითა და დაკვირვებით გაატარა. განსაკუთრებით კარგი იყო მესამე მოქმედებაში. ბ-ნი ნ. ჯანკვატაძე (ხლესტაკოვი), როგორც ეტყობა, ასეთ პასუხ-საგებ როლებში ხშირად არა ყოფილა. მიუხედავად ამისა, დაფიქრებით, დინჯად და ხშირად გრძნობითაც ასრულებდა როლს. ცოტა ხმა რომ არა ჰღალატობდეს, მშვენიერი ხლესტაკოვი იქნებოდა. არ შეგვიძლიან განსაკუთრებულის სიამოვნებით არ აღვნიშნოთ ბ-ნ ვ. ნინიძეს (ზემლიანიკა) თამაშობა. ასეთი მოხდენილი, კომიზმით აღსავსე, მაგრამ ზომიერება დაცული ასრულება ამ როლის ქართულს სცენაზე ჩვენ არ გვინახავს. ყველას ჩამოთვლა ცალ-ცალკე მეტად მიგვაჩნია. ანსამბლი მშვენივრად იყო დაცული, და ესკი იმის მომასწავებელია, რომ თვითეული მათგანი პირ-ნათლად ასრულებდა როლს. არ შეგვიძლიან პატარა შენიშვნა არ გაუკეთოთ რეჟისორს: გოროდნიჩის ცოლი (ქ-ნი პიერეტა) მართალია ისეთია, რომ როგორც ხლესტაკოვი ამბობს, „მადაზე მოიყვანს ადამიანს“, მაგრამ რეჟისორს მაინც არ უნდა დაევიწყებინა, რომ მას გასათხოვარი ქალი ჰყავს. ქ-ნი პიერეტა კი 16 წლის გოგონას უფრო ჰგავდა, ვიდრე დარბაისელ, გასათხოვარ ქალის პატრონ ადამიანს. კიდევ ერთი პატარა შენიშვნა: კარებს ჩვეულებრივად აღებენ იმ მხრიდან, საითკენაც ტარი აქვს. ხლესტაკოვის ოთახის კარებს კი მეორე მხრიდან აღებდნენ.

მიუხედავად წვრილმან დეფექტებისა, წარმოდგენამ მაინც მთლიანი შთაბეჭდილება დასტოვა. სჩანს მუშაობა, სჩანს საქმისადმი სიყვარული, სჩანს გულ-წრფელობა. ყველა ამისთვის არ შეგვიძლიან ჩვენი მადლობა არ ვუძღვნათ როგორც საზოგადოდ სცენის მოყვარეთ, ისე მათს რეჟისორს ბ-ნ წუწუნავას.

Homo.

სახალხო სახლი. დღეს, 16 ოქტომბერს, სახალხო სახლთან არსებული წრის გამგეობა **ალ. წუწუნავას** რეჟისორობით **ხელმეორედ** სდგავს **„რევიზორს“**. უმთავრეს როლებს პიესისას **გოროდნიჩს**—შეასრულებს **ბ. ი. ზურაბიშვილი** და **ხლესტაკოვისას ბ. ნ. ჯანკვატაძე.** დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

წერილი რედ. მიმართ

გთხოვთ დამიბეჭდოთ შემდეგი წერილი.

ტფილისში ხმა გავრცელდა, ვითომც გაზეთ „ქართლის“ რედაქტორად დაენიშნოთ თავ. მიხეილ ირაკლიძ ძე ციციშვილი და მე კი რედაქტორობისათვის თავი დამენებებინოს. ეს მართალი არ არის.

თავ. მ. ი. ციციშვილი დაინიშნა მხოლოდ გამომცემლად ჩვენის გაზეთისა. მოგეხსენებათ, რომ გორში დაარსდა გამომცემელი „ამხანაგობა“ ამ ამხანაგობამ თავის მხრივ ამოირჩია მ. ი. ციციშვილი და ამას მიანდო. **გაზეთის გამოცემის** საქმე. **რედაქტორად** კი ჯერ-ჯერობით ისევ მე ვარ.

გაზეთ „ქართლის“ რედაქტორი
იაკობ ცინცაძე.

ბ. რედაქტორო! გთხოვთ უმორჩილესად ადგილი დაუთმოთ თქვენს გაზეთში ამ ჩემს მცირე წერილს.

როგორც მოგეხსენებათ სახ. საათობიროს არჩევნების წინ ქ. გორში ხმა დაჰყარეს—„სახ. გაზეთი“-ს გაქურდვის შესახებ. ქურდად, მოგეხსენებათ, გამოიყვანეს ამავ გაზეთის ყოფილი თანამშრომელი სვ. მაჰავარიანი (იქნება ეს მოწინააღმდეგეთა ჩვეულებრივი საარჩევნო ფანდიც იყო, რადგან ერთი-ორგან ეთქვათ—ამომრჩევლად სვ. მაჰავარიანი უნდა დავასახელოთო). მეჭორეს—ვ. თაბუაშვილს პასუხი მოვთხოვეთ. არ ვიცი რად, იგი ჯერ-ჯერობით სდუმს. ხალხში კი ხმა გავრცელდა—იმისთანა კაცს უთქვამს ეს (ჭორები), რომელიც თვით „სახ. გაზ.“-ის რედაქციაში მუშაობდაო. რედაქციაში ვმუშაობდით მე, გ. ნამორაძე და „ქართლი“-ს რედაქტორი ბ. ი. ცინცაძე. თუ ხალხის ხმას დავუჯერებთ, ამ სამში ერთ-ერთი ვართ დამნაშავე. ბ. თაბუაშვილმა კარგად უწყის, რომ მე მისთვის არაფერი გადამიცია, არც თუ ნამოარაძეს. მაშასადამე რჩება ბ-ნი ი. ცინცაძე და მის გარშემოც ტრიალებს ეჭვი. დროა ბ-ნმა ცინცაძემაც ამოიღოს ხმა და ერთხელ და სამუდამოდ ჭორებს ბოლო მოუღოს.

P. S. თუ შესწევს პატარა მოქალაქობრივი გამბედაობა გამოიტანოს ბ-ნმა თაბუაშვილმაც ნათელზე ბნელი.

კარგს იზამს გაზეთი „ქართლი“ თ. ამ წერილს გადაბეჭდავს.

ალ. გძელიშვილი.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. ჟურდღელაშვილი.

გამოსაღეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა

(ზამთრობით).

15 ოქტომბრიდან.

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: სამგზ.-საბარგო № 8; საღ. 5 ს. 30 წ. **ჩქარი** № 2, დღ. 8 ს. 18 წ. **სა-ფოსტო** № 4, ღამის 10 ს. 30 წ. **სამგზავ.** № 6, ნაშუადღ. 4 ს. 35 წ. **ნარევი** № 106. ღამ. 3 ს. 57 წ.

ბათომისაკენ: სახ. № № 107, ღამ. 2 ს. 24 წ. **სახ.** № 5, ღამ. 2 ს. 42 წ. **საფ.** № 3, დილ. 7 ს. 54 წ. **სახ.** № 4, საღ. 8 ს 6 წ.

ერევნისაკენ: საფ. № 4/3, ღამ. 11 ს. 15 წ. **სახ.-საბ.** № 8/7, დილ. 11 ს. 10 წ. **სახ.-საბარგ.** № 6/5, საღ. 6 ს. 14 წ.

ბორჯომისაკენ: სახ. № 9/10 ნ, შ 1 ს. 21 წ.

ტფილისში მოდის.

ბაქოდან. ნარევ. № 107, ღამ. 1 ს. 12 წ. **სახ** № 5, ნაშ. 1 ს. 50 წ. **საფ.** № 3, დილ. 7 ს. 4 წ. **ჩქარ.** № 1, საღ. 7 ს. 14 წ. **სახ.-საბ.** № 7, დილ 9 ს 59 წ.

ბათომიდან: სახ. № 12, დილ. 6 ს. 54 წ. **საფ.** № 4, ღამ. 9 ს. 35 წ. **სახ.** № 6, ნაშ. 4 ს. **ნარევ.** № 106, ღამ. 3 ს. 20 წ.

ერევნიდან: სახ. № 4/3, დილ. 6 ს. 4 წ. **სახ.-საბ.** № 8/7, ნაშუადღ. 3 ს. 32 წ. **სახ.-საბ.** დილ. ს. 32 წ.

ბორჯომიდან: სახალ. № 9/10 ნ, დილ. 9 ს. 26 წ.

მიხაილოვიდან სურამში: სახ.-საბარგ. № 61, ღამ. 12 ს. 22 წ. **სახ.-საბ** № 63, ღამ. 3 ს. 34 წ. **სახ.-საბ.** № 65, დილ. 10 ს. 53 წ. **სახ.-საბ.** № 67, ნაშ. 1 ს. 17 წ. **სახ.-საბ.** № 69, საღ. 5 ს. 57 წ. **სახ.-საბ.** № 71, საღ. 7 ს. 22 წ.

ქუთაისიდან რიონში: სახ. № 77, ღამ. 2 ს. 32 წ. **სახ.** № 79, დილ. 8 ს. 18 წ. **საბ.** № 81, დილ. 11 ს. 7 წ. **სახ.** № 83, ნაშ. 3 ს. 52 წ.

რიონიდან ქუთაისს: სახ. № 76, ღამ. 4 ს. 29 წ. **სახ.** № 78, დილ. 9 ს. 6 წ. **სახალ.** № 80, ნაშ. 1 ს. 12 წ. **სახ.** 82, ნაშ. 4 ს. 59 წ. **სახ.** № 84 ღამ. 11 ს. 42 წ.

ქუთაისიდან შორაპანს: სახალხო № 29/30, ნაშ. 3 ს. 27 წ.

შორაპნიდან ქუთაისს: სახ. № 27/28, დილ. 6 ს. 34 წ.

ფოთიდან სამტრედ. და **ქუთაისს: სახ.** № 26, ღამ. 4 ს. 10 წ. **სახ.** № 4 II, 9 ს. 13 წ. **სახ.** № 6, ნაშ. 3 ს. 6 წ. **სახ.** № 8 II, საღ. 7 ს. 14 წ.

სამტრედიიდან ფოთში; სახ. № 3 II, შუადღ. 12 ს. 1 წ. **სახ.** № 7 II. დილ 5 ს. 24 წ. **სახ.** № 5 II, საღ. 6 ს. 3 წ. **სახ.** № 25 II, ნაშ. 4 ს. 22 წ.

ბათომ.-დან ქობულეთსა და ნატანებებში: სახ. № 18, ღამ, 9 ს. 17 ს. **სახ.** № 14, ღამ. 3 ს. 47 წ. **სახ.** № 16, ნაშ. 1 ს. 2 წ.

ქობულეთ.-დან ბათომს: სახ. № 13, დილ. 5 ს. 8 წ. **სახ.** № 15, ღამ. 10 ს. 27 წ. **სახალხ.** № 17, ნაშ. 3 ს. 51 წ.

ნატანებიდან ბათომს: სახ № 17, ნაშუად. 3 ს. 24 წ.

მიხაილოვ.-დან ბორჯომს. სახ. № 46, ნაშ. 1 ს. 12 წ. **სახ.** № 65, საღ. 7 ს. 18 წ. **სახ.** № 86, ღამ. 3 ს. 29 წ.

ბორჯომ.-დან მიხაილოვში: სახ. № 36, დილ. 10 ს. 39 წ. **სახ.** № 55, ნაშ. 4 ს. 2 წ. **სახ.** № 76, ღამ. 10 ს. 45 წ.

სურამ.-დან მიხაილოვში: სახ.-საბარ. № 60, ღამ. 11 ს. 25 წ. **სახ.-საბ.** № 62, ღამ. 2 ს. 42 წ. **სახ.-საბ.** № 64, დილ. 5 ს. 12 წ. **სახ.-საბ.** № 66, დილ. 11 ს. 30 წ. **სახ.-საბ.** № 68, ნაშ. 4 ს. 4 წ. **სახ.-საბ.** № 70, საღ. 6 ს. 30 წ.

ფეხსაცმელეები

თომა დ. ჯანყარაშვილის

მაღაზია-სახელოსნოში.

მუხრანის ქ. № 2. ყოველნაირი: საკუთარი და პეტერბ. მეხანიკური ნაწარმოები. 683

ქ. ზ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

ისყიდება აკაკის თხზულებანი:

აკაკის რჩეული ლექსები ფასი	10 კ.
— ალექსი	10 „
— ბაგრატ დიდი	10 „
— გამზრდელი	5 „
— გოგია მეჩონგურე	5 „
— გორის ციხე	5 „
— დათუნა გოცირიძე	5 „
— თამარ მეფე	5 „
— იგავ-არაკნი ნათარგმნი	50 „
— ოთია მესხი და ადამ ბებურიშვილი	10 „
— მამლის ყივილზე	10 „
— ნათელა	20 „
— ნაცარქექია	10 „
— ორი პუბლიც. სტატია	10 „
— ოცნება	10 „
— სიტყვა თქმული ერთს არჩევანზე და საუბარი მამა-შვილს შუა	10 „
— სიმღერა	15 „
— ყვითელი სანთელი	10 „
— ქუთათლის სიზმარი	5 „
— ჩემი ნაწერები	75 „
— ჩემი თავგადასავალი 1 მ.	— „
— წმინდა ნინო	20 „
— Избранныя стихотворенія въ переводѣ русскихъ поэтовъ	20 „

ადრესი ტელეგრამისათვის: Тифлисъ Грамотность. 1141.

ეკალი

ე. ა. ცაბუროვის დეპოში

მიღებულია დიდძალი ნაირ-ნაირი შპალიერი, ახალ სახიანი

რუსეთისა და საზღვარგარეთის საუკეთესო ქარხნებისა.

ფასები 8 კ—დან თოფი (სრულ ზომიანი) აუარებელ ხარისხისა.

ნიმუშებს ვგზავნით პირველ მოთხოვნილებისათანავე.

ტფილისი, სასახლის ქუჩა, ტელეფონი № 238.

1400

ვპისრულობ:

1. დაგირავებას და გადაგირავებას ნებისმიერ მამულებისას როგორც ქალაქებში, აგრეთვე სოფლებში.
2. უძრავ ქონებათა სყიდვა-გაყიდვას.
3. მადნეულობის გამოკვლევას და ზეგუშავებას.
4. ყოველგვარ არზების და პროგრამის ქაღალდის შედგენას.
5. ხე-ტყის მასალის მსყიდველის და ეამსყიდველის შოვნას. მთხოვნელებს ვიღებ ყოველ დღე გარდა კვირისა და უქმე დღისა, დილის თერთმეტის ნახევრიდან 12 საათამდე და საღამოთი ექვსიდან 7 ს.-მდე. **ბინა: ქ. ტფილისი, გოლ. პროსპ.**, სახლი **მანთაშევისა**, სასტუმრო „უნივერსალი“, № 1, ტელეფონი № 499 **იოსებ კირილეს ძე რაზმაძე** 1496

ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.

დ ი ლ ი თ:

„606“—11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. აგასაროვი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. ხაბეიო ქალებისა და ბავშვებისა,

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., ხაშ. და ქირურგ.

გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბეიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. ბ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი ავადმყ. ბავშვთა და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელ ქიანი** 1—2 ს. საბეიო დ. ქალების ავად.

ს ა ლ ა მ ო თ ი:

მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთა ვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
1078

სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა

მუდმივის საწოლებით.

გადავიდა ახალ გინაზე

მიხაილის ქუჩა, № 49 და რეუტოვის მისაზვევი № 2. ტელეფონი № 1026.

ავადმყოფებს იღებენ:

ალაჯანოვი მიხ.—საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის სნეულებისა—ნაშუად. 12—1 ს.

ვნუკოვი მ. პ.—ქირურგიულ სნეულ. ნაშუად. 1—2 საათამდე.

ეგიაზაროვი ი. ნ.—შინაგან, ნევრვებისა სულით-ავადმყ. ელექტროტერაპატია დილ. 11—12 საათამდე.

კიმონტი გ. პ.—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.

მაგაკიანი გ. ნ.—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. 11½—12½ სათ.

შამაში ი. ი.—ქირურგიულ ავადმყ. 12—1 საათამდე.

ავილოვიცა ა. ა.—კბილის ავადმყ. 9½—11½ საათ.

სამკურნალოში სწამლობენ ელექტრონითა და მასაჟით. ახდენენ გამოკვლევას მიკროსკოპიულ, ბაქტეროლოგიურსა და ქიმიურს. ყვავილს უცრიან. ძიძებს ამოწმებენ. რჩევის ფასი ათი შაურიდ. ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით.

სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება. საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებისაგან.

წამლობა „606“-ით და 914. 1513

გამოსულია და იყიდება

ნ. ჟიუკაშვილის

პიესა „ მ ე ბ ო ბ რ ო ბ ა “

დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კ.

გამოსულია და იყიდება

ი. გედევანიშვილის პიესა

„ გ ა მ ცე ე მ ი “

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

ავადმყოფებს და სუსტებს

„ს პ ე რ მ ა ტ ი ნ ი“

დამზადებულია ი. ნ. ივანოვის ლაბორატორიაში, ექიმებისა და ფარმაცევტების მეთვალყურეობით. **„სპერმატინის“** გამოგონება ეკუთვნის დიდებულ ფრანგ პროფესორს ექიმ **ბროუნ-სეკარს.** მან, 76 წლისამ თავის თავზე გამოსცადა ამ წამლის გადამხალისებელი და ჯანის გამამაგრებელი გავლენა.

მას მერე მკურნალებმა დაადასტურეს, რომ **„სპერმატინი“** უებარი წამალია: მოხუცებულების სისუსტისა, სისხლნაკლებისა ძმიმე ავადმყოფობისა, ნერვებ ამლილისა, გონებისა და სხეულის მოქანცულობის, სქესებრ. მოჭარბებისა, ჯანის გატეხისა, დამპალ ციებისა, ძარღვების მოდუნებისა, ხერხემლ. ტვინის გახმობისა, სიდამბლისა, კაცობიდან ჩამოვარდნის, წყალმანკისა, გულისფრიალისა შაქრის ავადმყოფობისა, ქარებისა, ათაშანგისა, ლოთობისა, ყაბზობისა, ქლექისა, ვარდის წყლით წამლობის შედეგისა და სხვ.

1 შუშა ღირს 2 მ. 40 კ. ტაბლეტ—2 მ. 75 კ. ფასდადებითაც შეიძლება დაბარება. აფთიაქებს და საფთ. საწყ.—ფას-დაკლებით. გასაგზავნს დამბარებელი იხდის. იყიდება კავკასიაში მთავარ წარმომადგენელთან—**ი. ახობაძე და ამხ“.** ტფილისი, ლორისმელიქოვის ქუჩა, სახლი № 6, ეზოში. 661

ვაჭრობა-მრეწველობის უწყებაში მყოფი

გუხჰალტერიის პრაქტიკული კურსები

და კომერციული ანგარიში

ი. ფ. კალაფნიკოვისა,

(ტფილისი, მიხეილის ქუჩა, 132).

1912—13 წლის სემესტრში ქალ-ვაჟთ შეუძლიანთ მიღების თხოვნა შემოიტანონ და ჩაეწერნენ ყოველ დღე დილის 10 საათიდან საღამოს 9 საათამდე. მეცადინეობა 15 სექტემბერს დაიწყო.

კურსებზე ორივე სქესის მსმენელნი იძენენ საფუძვლიანსა და სრულიად დამთავრებულ მომზადებას, კანტორა გუხჰალტერიისა და საალღებ-მიცემო მიწერ-მოწერის დამოუკიდებლად საწარმოებლად.

კურსებზე შემსვლელნი საფუძვლიანად სწავლობენ: **1. გუხჰალტერიას** უბრალოს, ორმაგს, იტალიურს, გერმანულს, ამერიკულსა, ფრანგულსა და ახალ რუსულს (ყველა სისტემის შესასწავლად საალდებულოა პრაქტიკული მუშაობა) **2) ანგარიშების წარმოებას:** საზოგადოდ საალღებ-მიცემოს, საბანკოს, საქარხნოს, საზოგადოს, სასოფლო-მეურნეობისას, ქალაქისას და ერობისას. **2. საკომერციო არითმეტიკას, 3.** სავაჭრო უფლებას, **4)** თამასუქების უფლებას, **5)** საალღებ-მიცემო მიწერ-მოწერას, **6)** ანგარიშს საანგარიშო ჩოთქზე. **7)** ლამაზსა და სწორ წერას (კალიგრაფიას), **8)** საწერ მანქანის ხმარებას, **9)** რუსულ ენას, **10)** არითმეტიკას, **11) უცხო ენებს:** ინგლისურს, ფრანგულსა და გერმანულს, **12)** უცხო ენებზე საალღებ-მიცემო მიწერ-მოწერას.

რუსულსა და არითმეტიკის მსმენელთ უფასოდ ასწავლიან.

მასწავლებლებად მოწვეულნი არიან უძაღლეს სწავლა მიღებული სპეციალისტები. კურსების წესდება და პროგრამა მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ.

1447

მივიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი,

ქვირითის (კავიარ.) ხიზილალა

თევზის მრეწველნი

ძმ. ძეგველოვები.

პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.

ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 712.

1131

გამოსული ქერჩის

სელიოტკები,

და ყოველგვარი

კონსერვები.

მოგვდის მუდამ დღე საკუთარი სა მრეწველოდან ახალი თევზი, ხიზილალა, (ჟიტკა), ორაგული, თართი ტარაღანა, ლოქო და სხვა. და აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მოხარშული დოში, ზურგიელი** და ყოველგვარი

შავი ხიზილალა

ამ დღეებში გამოვიდა გასასყიდად ახლად ჩაწერილი გრამოფონის

ფირფიტები

მრავალი ახალი: ქართულ, სომხურ, თათრულ და რუსულ ენაზე

შესრულებული საუკეთესო არტისტების მიერ.

ОБЩЕСТВО ГРАММОФОНЪ СЪ ОГР. ОТВ.

მოიკითხეთ უფასო კატალოგები

ტფილისი, გოლოვინის პრ., 9.

სამხედრო ტაძრის პირდაპირ.

1512